

1954/3

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



ს. რ. ნ. გ. ე. კ. რ.

№ 10
თბილისი
1954



„ვალ დღესასწაულია.“


ნახ. უ. მეძმარიაშვილისა



7595





ტინანწინის ტრიბუნაზე საბირეღამისო დემონსტრაციის დროს (მარჯვენადან მარცხნივ): ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ანბ. მანო ქმ-ღუნი, ქალაქის შერი პენ ჩუნი და სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ლიუ შაი-ცი იმ პიონერებთან ერთად, რომლებმაც მათ ძე-ღუნს მითარვეს ყვავილები.



დიდი ჩინეთის

ბელნიერი

ბავშვები




ხუთი წლის წინათ, 1949 წლის 1 ოქტომბერს, ეყრდნობოდა რა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის მხარდაჭერას, ჩინელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ჩანკაიშულთა რეაქციული ხროვა, მოიშორა უცხოელ იმპერიალისტთა მონური უღელი და ჩინეთი გამოაცხადა სახალხო რესპუბლიკად. ამ ღირსახსოვარ თარიღს დიდი ჩინელი ხალხი, საბჭოთა კავშირის თავისუფალ ადამიანებთან და მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, ყოველწლიურად აღნიშნავს როგორც დიდ ეროვნულ დღესასწაულს.

ჩინეთის რევოლუციის დიდი ისტორიული გამარჯვება და სახალხო რესპუბლიკის შექმნა, უდი-

დეს მოვლენა იყო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

ჩინელმა ხალხმა უმოკლეს ვადაში შეძლო დანგრეული და გაპარტახებული სახალხო მეურნეობის აღდგენა. სამიოდე წლის განმავლობაში აღდგენილ იქნა მრეწველობა და ტრანსპორტი.

აგრარული რეფორმის გატარებამ მოსპო მემა-მულეთა ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა. გლეხობის მფლობელობაში გადავიდა 47.000.000 ჰექტარი მიწა. ძირფესვიანად შეიცვალა სოფლის ეკონომიური წყობა. სამეურნეო განვითარებასთან ერთად ჩინეთის სახალხო მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია სოციალისტური კულტურის აღორძინებას.



ჩინეთში 200-მდე უმაღლესი სასწავლებელია სა-
დაც 220.000-მდე სტუდენტი ეუფლება მეცნი-
ერების მიღწევებს. მილიონობით ჩინელი მუშა,
მოსამსახურე და გლეხი მუშაობისაგან მო-
უწყვეტილვ სწავლობს. მათთვის გახსნილია ათა-
სობით საღამოს სკოლა, სადაც ამეამად სამ
მილიონზე მეტი მოსწავლეა, სოფლად კი გლეხთა
საზამთრო სკოლებში 27 მილიონი კაცი სწავლობს.

მრავალი მილიონიანი ტირაჟით გამოდის
მარკსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები, სა-
ხელმძღვანელოები და სხვადასხვა სახის ლიტე-
რატურა.


დიდი ჩინელი ხალხის ცხოვრებაში უდიდეს
მოვლენას წარმოადგენს სრულიად ჩინეთის სა-
ხალხო წარმომადგენლების კრება, რომელმაც გა-
მონატა დიდი ჩინელი ხალხის ნება და დიდი
პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში 20 სექ-
ტემბერს ერთხმად მიიღო ჩინეთის სახალხო რეს-
პუბლიკის კონსტიტუცია.

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუ-
ცია დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენ-
ტია. იგი კანონმდებლობით განამტკიცებს თავი-
სუფლებისათვის ჩინელი ხალხის ხანგრძლივი გმი-
რული ბრძოლის შედეგებს, განამტკიცებს ძირეულ
ცვლილებებს, რომლებიც ჩინელი ხალხის ცხოვ-
რებაში მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე, და
განსაზღვრავს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლი-
კა „უზრუნველყოფს ექსპლოატაციის სისტემის
თანდათანობით მოსპობას და სოციალისტური სა-
ზოგადოების აშენებას“ („პრავედა“).



რევოლუციამდე მეტად მძიმე და აუტანელი
ყო ჩინელი ბავშვის ცხოვრება. აი, რას წერდა





ოციოდე წლის წინ ჩინელი ბავშვების მდგომარეობაზე ერთ-ერთი ბურჟუაზიული კომისია:

„... ყოველ ექვ გარეშეა, რომ ბავშვები მუშაობას იწყებენ საერთოდ იმ ასაკში, როდესაც მათ სწავლა უნდა დაიწყონ და უკვე შეუძლიათ მწარმოებლებს სარგებლობა მოუტანონ. კომისიამ მოიარა საწარმონი, როგორც დღისით, ისე ღამით და იქ ნახა დაახლოებით 6 წლის ასაკის მრავალი მრეწველი ბავშვი.“

სამუშაო დღე 12 საათამდე აღის... მეწარმენი ბავშვების მოვლებს აძლევენ ორ-ორ დოლარს თვეში თვითელ ბავშვში. ამუშავენ რა ამ ბავშვებს ფაბრიკებსა და საწარმოებში მეწარმენი თვეში თვითელი ბავშვის შრომისაგან აღებულობენ 4 დოლარს“.

ასე მწარე იყო ჩინელი ბავშვების მდგომარეობა ჩინეთის სახალხო რევოლუციამდე. ახლა კი ჩინეთში მშრომელთა შვილებისათვის გახსნილია 551.942 დაწყებითი სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 49.000.000 ბავშვი, ხოლო საშუალო სკოლებში სწავლობს 3,5 მილიონზე მეტი მოსწავლე.“

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ მშრომელთა შვილების ხალისიან, ბედნიერ ცხოვრებას, რომელიც მათ მოუტანა ჩინეთის სახალხო რევოლუციამ.



სურათებზე: 1. ულაოცუნის საბავშვო ბაღის ბავშვებს კარგი ჩვევა გამოუშავდათ: შეხვედრისას ყველაზე უწინ ხელების სისუფთავეს ამოწმებენ. ვისი ხელები უფრო სუფთაა?

2. საბავშვო ბავშვი ქარხანაში. ახალ ჩინეთში ბევრ ფაბრიკა-ქარხანაში გახსნილია საბავშვო ბავშვთა განყოფილება.

სურათზე: საბავშვო ბავშვი აღმზრდელი ტემპერატურას უსინჯავს ციანტონის ბაშის № 6 სახელწოდებით ფაბრიკის მოხაზხურის გოგონას ჩუენ ხეიდან.

3. როცა ვაშლები ყვავიან.


4. ნორჩი ავიამოდელებისტი.

5. გოგონას კონცერტზე მიეჩქარება.

6. ბეკინის ქალთა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე იან-ი-ცუანი საბუთო ბავშვებს ულოცავს ბავშვთა დღესასწაულის დღეს.

7. ბავშვები დიდი ყურადღებით და ინტერესით ისმენენ საბავშვო რადიო-გადაცემას.

8. პატარა მეგობრები გემრიელი სადილის შემდეგ საუბრობენ.





ღრუბელი მთაზე ჩამოვინული
მიდის და ნამის კვალი დატოვა.
ისე აგრილდა, — აღბათ ყნული
წყალში ჩავარდა, მთას დაათოვა.
ასე გათავდა წელსაც ზაფხული
და მისი სიცხე ჯერ არნახული.

დილაზე ქალაქს მოაწყდა ქარი,
როცა მოსწყინდა მთაში გრიალი.
ჩემთვის ეს დილა ნაცნობი არი
და ამ ცაცხვების ფოთლის შრიალი.
ბალში ცახცახებს ხე ტანაყრილი,
დასხმული ვაზით შემოგრაგნილი.

წინა დღეების დილის ნაცვალი
ჩვეულებრივი დილა როდია. —
სპილენძისფერად მწვერ დაშვარი
პიონერები მწყობრად მოდიან.
მათმა დაფდაფმა, ბუკმა, ნალარამ
თბილისის ქუჩებს შეგბა ახარა.

მეც ჩამესახა გულში იმედი,
დიად მომავლით განათებული, —
ღია სარკმელთან როცა მივედი
და დავინახე ბავშვთა კრებული.
მზე ამოვიდა მძლე და მძვინვარი,
შინ რომ არავინ ღარჩეს მძინარი.

სწავლას და ცოდნას მოწყურებული
მოვლენ, მოდიან გოგო-ბიჭები
და არ თავდება მარად ქებული
ახალგაზრდობის მხნე ნაბიჯები.
რა საბურთი დილა გათენდა,
მისმობს ნაცნობი სკოლის კათედრა.

დამხვდა ბავშვებით ავისილი ეზო,
როგორც ვეება სკა მოგუგუნე.
ისმის ძახილი: „ბიძინა — რეზო“
და ქარი არხევს „დალის“ კულულებს.
ასე გამოირბის, ლაღობს და ხარობს
დაუშრეტელი სიცოცხლის წყარო.

მიველ სკოლაში დაუზრახველი
და შეგირღებში ჩამდგარი ვნახე,
პატარა ჩანთით და ყელსახვევით,
ჩემი ბავშვობის ნათელი სახე.
უკვე ღარკეცს ნანატრი ზარი
და ხელთ ავიღე „ბუნების კარი.“

ახლად აკინძულ წიგნში სატია
მალარო, ზალი, მთები ტყიანი,
განძი, სიმდიდრე რაც გვაბაღია,
დიდი სამშობლო მულამ მზიანი...
და გაიღიმეს ბავშვებმა ტკბილად,
როს წაიკითხეს სამშობლოს დილა.

ჯანსუღ ჩარკვიანი

კომკავშირელები

მკაცრად უტევდნენ ომის ქარტეზის,
ბევრი ვაჟკაცი სისხლში ცურავდა.
სამშობლოს ფიცი განა გატეხეს,
მტარვალს ებრძოდნენ მამაცურადა.
მამულის ბედი გაიწილადეს,
მტერს მისდევდნენ და კვალად ჯიგავდენ.
გზა ლუგანსკიდან — ცარიცინამდე,
გამარჯვებიდან — გამარჯვებამდე.
იბრძოდნენ ასე თავგამებრით,
ისმენდენ მშობელ მიწის დაძახილს.
მერე — გარუხუნი თეთრი სვეტების,
მერე — აღება ზამთრის სასახლის...
რამდენი რისხვა, რამდენი დავა,
წარდენად მოვარდნა ქარის და წვიმის...
და თუ დღეს ქვეყნად ამაყად დავალთ,
ვინ დაგვაღვიწყოს ოღვივის წვლილი.

ვინ დაგვაღვიწყოს რისხვა ვერავთა,
ვინ დაგვაღვიწყოს ჩვენი ზოია —
ვისაც სიკვდილი სახრჩოხელასთან
მომავლის თვალით გაუზომია.
შენც მათი მკერდის ძალა იცანი,
იყავი ქვეყნად დაუჩავკრელი,
როგორც პეტრენკო, როგორც პილცმანი,
როგორც რულენევი და კორჩაგინი.
არ დაგიღამდეს სამშობლოს დილა,
მტერს მისდევ და კვალად ჯიგავდე.
კომკავშირელი თუ გქვია, — იარ
გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.
აშენც, მიწა აქციე ბაღად,
ხარობდეს ნერგი შენგან ღარგული,
და კომუნისმის შენობას მალაოს
შენც მიუმატე ერთი აგური.



ზოია რუხაძე

დედას

თუ, მეგობარო, ოდესმე ამ ჯურღმულიდან გახვალ, არ დაგავიწყდეს, ძვირფასო, შენ ჩემი მშობლის ნახვა. თუ გწამს, რაც უწმინდესია, რასაც ვეძახით ნეტარს, აცნობე ჩემი ამბავი ჩემს მოხუცებულ დედას.

უთხარი ცოცხალია-თქო შენი ასული, დედი, არც ეძებს, არც უძებნია მის შვილს სხვაგვარი ხვედრი... უთხარი, რომ მსწე და ჯანმრთელი არის ასული მისი, უთხარი, რომ დარჩა ბოლომდე ერთგული დიდი მიწისი.

უთხარი, მემწელა პირველად — ნუ დაუშვალავ დედას — ნადედეო განშორებისა და ოთხი კედლის სევდა. გაუფლვით, დამაბუნებით, ბრკილითა და კირით, გასრესით მეშუქრებოდა მხრებდაბჯენილი ტვინით.

ა, არა, აღარ ვფიქრობდი იმის შიშით და ელდით, რომ ვეღარასდროს გიხილავ, ვეღარ მოგივალ, დედი. არ ძალქმს მოკვლა გულისა მათარსს, ტყვიას და ხანჯალს... ო, არა, გული ვერ მოკლეს — გული გულადვე დარჩა.

დედი, არა გთხოვ სიყვარულს, დედი, არა გთხოვ სხვაფანს; გული გრძნობს — ისეც გიყვარვარ, რა საჭიროა თხოვნა! გული გრძნობს — გემასხოვრებთ, ვერ დაივიწყებ ასულს... მაგრამ გთხოვ, ცრემლის გარეშე მოიგონებდე წარსულს.

ყირიმის ოლქში ყოფნისას განვიზრახე მენახა საბჭოთა საშობლოსათვის თავდადებული ქართველი ქალიშვილის, დიდ სამამულო ომში არალეგალური ორგანიზაციის ერთ-ერთი ორგანიზატორისა და აქტიურობის მონაწილის ზოია რუხაძის დედა.

მისამართი არ ვიცოდი, მაგრამ დიდად ნასიამოვნებში დავრჩი, როცა სიმფეროპოლში ჩასვლისთანავე პირველმა შემხვედრმა მოსწავლე გოგონამ სხაპასხუბით მიმასწავლა ზოია რუხაძის დედის ანასტასია პეტროვნას ბინა.

ხანში შესულმა, მთლად თმა გაეთებებულმა მანდილოსანმა გულთბილად მიმილო. მისალმებისთანავე მადლობა მოეხსენე გმირი ქალიშვილის აღზრდისათვის, გადავეცი იოსებ ნონეშვილის პოემა „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ და ვუამბე საქართველოს ახალგაზრდებისა და მშრომელების გულში თუ როგორ უქცედავდ ცოცხლობს ზოიას ნათელი სახელი. მოვეუყვი ისიც, რომ თბილისში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრმა დადგა ახალი ბალეტი „მშვიდობისათვის“ სადაც მკაფიოდაა გადმოცემული ზოიას გმირული სახე.

ანასტასია პეტროვნამ ზოიას წიგნების კარადა დამათვალთვინებინა. აქ შემონახულია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაშრომები. პუშკინის, ლერმონტოვის, მიაიკოვსკის, გორკის, ოსტროვსკისა და სხვა გამოჩენილი მწერლების მხატვრული ნაწარმოებები. ზოიას ბიბლიოთეკას ამშვენებს აგრეთვე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

— უამრავი წიგნები, ჟურნალები და გაზეთები ჰქონდა ზოიას. უყვარდა მათი კითხვა და ზოგიერთ ნაწარმოებს იზებირებდა კიდევც. ძალზე გვცადა, მაგრამ ამაზე მეტი ვერაფერი გადავარჩინე, მძარცველებმა ხუთჯერ გაჩხრიკეს ჩვენი სახლი, რაც რამ გვქონდა ყველაფერი წაიღეს. შეიმჩნევი ვიმაღლებოდი, — ანასტასია დინჯალ, აუღელვებლად მეღაპარაკებოდა, შემდეგ კვლავ განაგრძო: ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა ქალიშვილმა დედის ამაგი დააფასა, საშობლოს წინაშე ვალი მოიხიდაო.

წუთით ანასტასია პეტროვნა კარადისაკენ მიტრიალდა და უჯრაში რალაცის ძებნას შეუდგა, მე კი შევცქეროდი ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტებს და მათ ქვევით გაკრულ ზოიას მტკიცე ნებისყოფის გამომატყველ სურათს, რომელმაც ლენინისა და სტალინის დიდი საქმისათვის სიცოცხლე არ დაიშურა.

ანასტასიამ კარადაში სათუთად შენახული ორად გადაკეცილი ფურცელი ამოიღო, მომიახლოვდა და დავფრთხილებით მომიყვია ზოიას ხანმოკლე, მაგრამ გმირული ცხოვრების ეპიზოდები:

— ზოია სწავლობდა ქ. სიმფეროპოლის პირველ სკოლაში. მასწავლებლებს, ამხანაგებს და მეზობლებს ყველას უყვარდა. ზოია სწავლობდა მზოდო ხუთეზზე. პიონერულ და კომკავშირულ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. რამდენიმე წლის განმავლობაში იყო პიონერული რაზმის ხელმძღვანელი და საკლასო კედლის გაზეთის რედაქტორი. ქალაქში არ ჩატარებულა არც ერთი ფიზკულტურული და სხვა ახალგაზრდული ღონისძიება, რომ ზოიას აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს. საკითხებისადმი მისი ჯანსაღი მიდგომა, საერთო განათლება და ცოდნა ყველას ანცვიფრებდა. ამიტომ იყო, რომ ზოია ამხანაგებს შორის დიდი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა.

— ზოიამ წარმატებით დაამთავრა შეიღწეული, — განაგრძობდა ანასტასია, — შემდეგ — საგვგმო-ეკონომიური ტექნიკუმი, და რამდენიმე წელს მუშაობდა ქალაქის საბჭოში.

1941 წლის ივნისში ზოია მზად იყო საქართველოში წამოსასვლელად. მას დიდი სურვილი ჰქონდა ენახა მამის მათე მერაბის-ძე რუხაძის მშობლიური ქალაქი წულუკიძე (ხონი), გვეცნო ნათესავები და დაემყარებინა მათთან მჭიდრო კავშირი, გაემართა მიმოწყობა. მაგრამ, როცა მოსკოვიდან რადიომ გადმოსცა, რომ გერმანიის ფაშისტური არმია ყაჩაღურად თავს დაესხა საშობლოს, ზოია უძრავად იდგა და წარბშეკრული მიყურებდა. მომიახლოვდა, გადაიხეზა, მაოცა და მითხრა:

დედაჩემო, ახლა საქართველოში წასვლის დრო აღარაა! მომხდურ მტერს საკადრისი პასუხის გაცემა ესაჭიროება. გავიმარჯვებთ, აუცილებლად გავიმარჯვებთ, და მერე ორივე ერთად ვეწვიოთ საქართველოს.

სიმფეროპოლში გათავხედებული ფაშისტები თარეშობდნენ. ქალაქის განაპირა მიდამოები ყოველ დღე ასობით უდანაშაულო ახალგაზრდების, მოხუცების, ქალებისა და ბავშვების გვაგებით ივსებოდა. აუტანელი და საზარელი იყო დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე საბჭოთა ადამიანების ცხოვრება.

1941 წლის დეკემბერში ბორის ხოხლოვის (კომკავშირული არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი), ზოია რუხაძისა და ლდია ტროფიმენკოს ინიციატივით ხოხლოვის ბინაზე მოწ-

ვეულ და ჩატარებულ იქნა პირველი კომკავშირული არალეგალური კრება, რომელსაც ცხრა კომკავშირელი ესწრებოდა... კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიება მტერს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისათვის. ორგანიზაცია ყოველდღე იზრდებოდა ქალაქის სკოლების ახალგაზრდობის ხარჯზე. მალე დააარსეს საკუთარი სტანბა, სადაც იმეძვებოდა ფაშისტების საწინააღმდეგო ფურცლები, რომლებსაც ყირიმის ქალაქებსა და სხვადასხვა სხვებთან ერთად ზოია რუხაძეც ავრცელებდა.

ზოიას მამაცობა პარტიის საოლქო კომიტეტმა და პარტიზანულმა რაზმმაც შეიტყო, ასრ შემდეგ იგი მათ სერიოზულ დავალებებსაც დასრულებდა.

1944 წლის 10 მარტს ზოია დააპატიმრეს. ერთი თვის განმავლობაში კაცის მკვლელები მას ყოველდღე სასტიკად აწამებდნენ. მაგრამ ზოიას ერთი სიტყვაც ვერ დააცდინინეს. უკრაინის კ. პ. (ბ) ყირიმის საოლქო კომიტეტის მიერ შექმნილ სპეციალურ კომისიის მიერ გამოვლინებულ მასალებში ვკითხულობთ:

„გესტაპოელებმა ზოია რუხაძე სასტიკად აწამეს. დასთხარეს თვალები, თავზე თამბი დაეცა, თითები დაამტვრიეს, ცხვირი მოსჭრეს და ა. შ. მაგრამ მოკვდა და არ გაუტყდა არც ერთი ამხანაგი (იხ. ოქმი № 483, 1945. 18 VIII).

ანასტასია პეტროვამ კარადიდან ფურცელი ამოიღო გადმოცა და მითხრა:


— კარგად წაიკითხე, შევლო, და დარწმუნდები იმაში, თუ როგორ აფასებდა ზოია სამშობლოსადმი მისასხურს, როგორი გამბედავი იყო, როგორ უშიშრად შესცქეროდა საფრთხეს და არაფრად აგდებდა მოახლოებულ სიკვდილს.

და მართლა, როცა წაეკითხე ზოიას მიერ გესტაპოელთა ჯურღმულში დაწერილი ლექსი — „დედას“, ჩემს წინაშე წარმოსდგა მტკიცე ნებისყოფი, სამშობლოსა და დედისადმი სიყვარული აღსავსე ზოია.

სიმფეროპოლის მშრომელებმა თავისი სახელოვანი შეილები და ამხანაგების საფლავზე უკვდავების ძეგლი აღმართეს. გზად მიმავალი საბჭოთა არმიის ჯარისკაცები, მუშები, კოლმეურნეები, მოსწავლეები გმიროთა ძეგლის წინ ჩერდებიან, ქუდს იხდიან, ღუმან და გულში მტკიცედ იმეორებენ:

არასდროს დავივიწყებთ ომის საზარელ დღეებს, ჩვენ მშვიდობიანი შრომა და ცხოვრება გვსურს, ყოველთვის ვიბრძობებთ მისი განმტკიცებისათვის. მაგრამ თუ მტერმა კვლავ გაბედა ჩვენზე თავდასხმა, ვცვივით თქვენს სახელს, მტერს გაბედულად ვეპყვებით და მკერდით დავიცავთ ჩვენი საყვარელი საბჭოთა სამშობლოს და მოუყიდებლობასა და ღირსებას.

გიორგი პაპიაშვილი



გეორგ ქიშინი

ნახ. კ. მახარაძისა

შ ა ქ ე

ა ო მ ე ა

ახალი მეზობლები

გამოგვეღიძა დილით,
ეს ვინ ხმაურობს ნეტავ?
რამდენი ხალხი ირევა,
უკვირს პატარა გელამს.
ნაცნობ მეზობლებს ამჩნევს
და ზოგ უცნობსაც ხედავს.

ავერ სატიერთო მანქანა,
ორი უცნობი ძია,
გამაღებული შრომობს,—
ავტომანქანას სცლიანს!

ნეტავ ვისია მანქანა,
ან ვინ მოვიდა ჩვენთან?
უცბად დაღონდა, თვალუბზე
ცრემლი მოადგა დედას:

— თქვენ არ იყავით, ბავშვებო,
ამ ქვეყანაზე მაშინ,
მაშინ თვით თქვენი მამიკო
იყო პატარა ბავშვი.

მოვარდა თურქის ლაშქარი,
გით ფაშისტების ჯარი,
სომეხი ხალხი გაკლავდა
ცეცხლით, ტყვიით და ხმალით.

ჩვენ შვიკიოხეთ დედას
გაკვირვებული სახით:
— საბჭოთა ჯარი სად იყო
იმედი ჩვენი ხალხის?!
—

— ეს ადრე იყო, ადრე
წყველ სულთანის დროსა,
ჯერ კიდევ არ ფრიალებდა
საბჭოთა ქვეყნის დროშა.

სულს გვხდიდა თურქის ხონთქარი,
გვართმევდა სომხებს მიწას;
სამშობლოს მთებზე, ველზე
შავი ღრუბელი იწვა.

გვერეკებოდნენ თურქები,
ცეცხლი აღწევდა ცამდე,
სახლ-კარს ბაღებს და ვენახებს
ცეცხლით და ტყვიით წვავენენ.

ვინც მაშინ თურქებს გაღურჩა
და ვინც ცოცხალი დარჩა,
აღმოღებულნი დასტოვა
სახლი, ყანა და ბაღჩა.

მდინარე არაქსს მოადგა
და გადმოლახა იგი,
უდროო სიკვდილს გაღურჩა,
გახდა ერევნის მკვიდრი.

ვინც ერევნამდე მოვიდა—
შეხვდა ერევანს ახალს,
ნამდვილი ბედნიერება
და სიხარული ნახა.

ოქტომბრის მზის ქვეშ აყვავდა
მისი კერა და სახლი,
ხალხთა ოჯახში დამკვიდრდა
ჩვენი სომეხი ხალხი.

ვინც უცხოეთში დარჩა,
ვერ მოაღწია ჩვენთან,
ის ქვეყნად ხეტილობდა
წყველ შიმშილთან ერთად.

არც მიწა შერჩათ, არც სახლი—
შერჩათ ცრემლი და სევდა
და მხოლოდ ერთი სურვილი:
რომ იხსოვებდნენ ჩვენთან!

მათ მწუხარება თან სდევდათ,
მრავალ ლტოლვილს და ყარობს,
გულს ერთი შერჩა იმედით—
ნახვა მშობლიურ მხარის!

როცა საბჭოთა არმიამ
მოსკო ფაშისტთა ჯარი,
როცა შუაზე გადატყდა
პიტლერის ხერხემალი,

როცა მიწყნარდა ომის ხმა,
დენა შეწყვიტა სისხლმა,
როცა საბჭოთა არმიამ
მრავალი ერი იხსნა,

მაშინ სტალინმა მოუხმო,
მიმართა სომეხ ყარობთ,
რომ გახზდარიყვნენ ისინი
მკვიდრნი საბჭოთა მხარის.

სამშობლომ კარი გაუღო,
აენთო მათი კერაც,
რომ სიკვდილს გადაარჩენილგბ
ეცხოვრათ ბედნიერად.

დასრულდა მათი წუხილი,
მათი ოხვრა და ცრემლი.
დღეიდან ბედნიერება
და სიხარული ელით.

რადღან ყოველმა მათგანმა
სიკოცხლის მხარე ნახა
და ჩვენთან ერთად შექმნიან
დიად ცხოვრებას ახალს.

აი, იმ ორმა ძიამ,
ორმა ლტოლვილმა ძიამ,
ჩვენს სახლში ბინა მიიღო,
ერევნის მკვიდრნი ქვიათ.



შ ა ქ ე

ამერიიდან ისინი
გაიხარებენ ჩვენთან,
პირსა და ლხინში ვიქნებით
ამერიიდან ერთად!—

დღემ გე გვიხარა პატარებს
ლიპილით გამოგვჩვენა,
არასდროს დაგვავიწყდება,
რაც ჩვენ გვიამბო დღემ.

ეზოში გაგზნდით უმაღლეს
ბავშვების მთელი გუნდი,
ახალმოსულთა წინაშე
ერთბამად ავგუბუნდით:

— კეთილი იყოს, კეთილი,
აქ მოხარძანება თქვენი!
ძილით ჩვენი საღამო,
ჩვენი საღამო წრფელი!

ჩვენი სურვილი ეს არი,—
რომ დაგვხმართო ყველა,
იქნება რამე გპირდებით,
მოგირბენინებთ ხელად.

ბარგის ზიღებაში გიშვლით,
ბავშვების მთელი რაზმი,
ჩვენ სახურავზე გამართვა
ვიცით რადიონახის!

იქნებ გაზუთი გპირდებით—
მოგირბენინებთ გაზუთს,
იქნებ ჩაქუჩი გპირდებით—
მოგირბენინებთ წამსვე!

იქნებ სხვა რამეს ინებთ—
აქვე გაგჩვენ უმალო—
ჩვენ ყველას მოგვეაღიერსა
და გავიღმა სტუმარს.

— კარგი ბავშვები ყოფილხართ!—
ყველას მოგვხვია ხელი,—
მადლობელი ვარ, ბავშვებო,
მადლობელი ვარ თქვენი!

უცხო მხარეში ცხოვრობოდი,
დღეს გამეღიმა ბედი,
ასეთი თბილი სიტყვები
ჯერ არვის უთქვამს ჩემთვის. —

როგორ არ უნდა გვეშრომა,
აბა, პატარებს მამინ,
სულ ციბრტივით ბრუნავდა
ეზოში ყველა ბავშვი.

ჩვენ ის დღე სულ გვეხსოვება,
დღესასწაულის მსჯავსად.
დღეს რომ არა, სკოლაში
ვაგვიანებდით წასვლას.

როცა სკოლიდან გბრუნდებით
არავის ახსოვს სადილი;
ხან თვალბუნუნას ვთამაშობთ
ხანაც «ომი» გვაქვს ნამდვილი.

დღესაც მარო დგას ეზოში,
გაყვირის თვალდახუჭული,
ჩვენ კი დასამალს დაეძებთ,
ლობეს ვაწყვდებით ჩურჩულით.


გვერდით, ეზოში შევრბივარ,
მე ერთი «ყაჩაღბანი»,
ბიჭი საქვეყნოდ განთქმული—
ახალუნხელი ვაპანი.

ბუჩქებში ვივივარ, რას ვხედავ,
ვეება ბურთი მოგორავს,
წამოვხტი, ხელი წავავლე,
თავზე დამადგა გოგონა.

ბურთის ხელით წაეპოტინა
და გამოშტატა ხელიდან,
(გაკვირვებული შევცქერი,
ვაპანის არ მოერიდა!)

გაჩერდი, მივირს, არ ვიყავ
მხალღი და გაუბედავი,
ფინ არის, ამ ჩვენს ეზოში
საიდან გაჩნდა ნეტავი?»

ვიცხებ:—საიდან მოსულხარ?
(გამხდარიც იყო, მალღიც),
ფი მასსუბობს:— ამ დღით
აქ ბინა მოვეცეს ახალ!



— რა გვითა?...
— შაქე!—
სწრაფად თქვა,
ის თითქოს კითხვას უცდიდა!
კვლავ ვიციხე:
— მითხარ, საიდან?...
პასუხი:
— ბერიუთიდან!

— გემით შავი ზღვა გავცურე,
მატარებელი ველები!—
ეს მითხრა ოღნავ ამაყად
და ბურთის ჩასქიდა ხელები.

— ვითომ რამე თქვი ახალი,
არვისგან მომისმენია!
შენ თვითმფრინავში თუ მჯდარხარ,
სოჭამდ თუ გიფრენია?!

მან გულმოსულმა შეხება,
გაბრუნებული თვალებით.
«მე ჩემთვის,—მიოხრა,—შენ შენთვის,
ახლოს არ მოგვეკარებო!»

«მე ჩემთვის», რად თქვა, «შენ შენთვის,
გაგვირდი ბიჭი ვაპანი.
მე ჯერ პასუხი არ მასსოვს
ამხანაგისგან ამგვარი.

წამსვე მოვუხმე მეგობრებს:
— იქნება რამე გაუგოთ,
იქნება თქვენი გაიგოს,
ცოტა რამ წაესაუბროთ!

მიოცვდნენ სწრაფად ბავშვები:
მარო, რაჩია, გელამი.
მიცქერენ გაკვირვებულნი,
ჩვენთან რა უნდა ნეტავი!..

შაქესთან მარო მივიდა,
გაღიმებული პირითა.

— მოდი, ბურთი ვითამაშოთ...
ყველა რიგში დავდგეთ უნდა...
შაქე უცხად განზე გადავა,
ბურთი მკერდზე მიიხტა.

ორივე ხელით ჩაუბლუჯავს,
გაიძახის: «ჩემი არი!»
ვეუბნებით:—დაგვიბრუნებთ,
ჩვენ ყველა ვართ შენთან!

ბურთი რაა, იბუტები,
ვითომ დღი რამე ღირსა,
შაქე ამბობს: «მამაჩემმა
ბურთში ზვიერი ფული მისცა!»

ო, სირცხვილო ო, სირცხვილო
რა ძუნწია, ხედავ ამას...



აბა, თქვენში რომელია,
ვინ აჩვენებს ქალაქს შაქეს?—
ყველასა სურს... მაროს, ალიკს...
გელამს... მოკლედ ამხანაგებს.

— შაქე, გინდა წამოხვიდე?
— მინდა,—თქვა და გაიხედა,
ოღონდ, ოღონდ დედას გკითხავ,
ნებას დამართავს, ალბათ, დედა.

— ხვალ რა დღეა?
— კვირა!
— კარგი!
დაძინე ტკბილი ძილით...
ხვალისათვის მომზადე,
უსათუოდ გამოვივლით.



და შაქესთან გაბუტულნი
ალარც ვფიქრობთ ბურთის თამაშს...

გვინდა ყველამ მივატოვოთ,
მასთან ყოფნა აღარ გვინდა:
უცბათ დედამ ალიკისამ
შეგვაჩერა აივნებიდან!

— სირცხვილია!—წყრომით გვითხრა,—
ოღნავ მკვახედ გადმოგვქაზა.—
მომოცადეთ, მომიცადეთ,
მოგარიგებთ ყველას ახალ!

უხერხული არის მეტად,
რატომ ჩხუბობთ უმიზეზოდ?!
სირცხვილია, ყველას გისმენთ
მთელი სახლი, მთელი ეზო.

ჯერ არ იცით ერთმანეთი,
კარგად არეინ იცნობს შაქეს,
გაებუტოთ, არ შეგშვენიოთ—
შაქეს ახალ ამხანაგებს.

არეინ იცნობს კარგად შაქეს—
ჩვენი ქვეყნის სტუმარს ახალს,
მან ხომ ბევრი გატყუებდა,
მან ხომ ბევრი ტანჯუა ნახა.

ის თავისით როდი გახდა
თქვენთვის მუნწი ამხანაგი,
მან თქვენსავით ჯერ არ იცის
რომელია ცული, კარგი!

ის ჯერ კიდევ სულ არ იცნობს
ამ ჩვენს ეზოს, ქუჩას, ქალაქს,
ჩვენი ქვეყნის კეთილ წესებს,
ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ქვეყანას.

თქვენ კი ნაცვლად მეგობრობის,
ნაცვლად სიტყვის რიგანის,
აიძულებთ მივატოვოთ,
თქვენთან უცხოდ იგრძნობს თავი.

ბავშვები ქალაქში სმირნობენ

— აქ ტრამვაი მოსდინრობს,
იქით მიქრის, ხედავ, ავტო.
შენ, ნურაფრის გეშინია,
ქვაფენილზე ივლი მარტო!

— შეზე, შაქე, რა კარგია
მშობლიური ერევანი,
ხედავ სახლი გადმომდგარა
თალიანი ღერეუვანიო.

ხედავ ბროლის შადრევნები
ასვეტილან ცაში ღურჯაღ,
იქ საბავშვო პარკი არი,
ესეც მარტისი დიდი ქუჩა.

ეს სასტუმრო «სეკანია»,
ეს შინობაც ლამაზია,
თავს იწონებს ფარჩეულით
აბრეშუმის მაღაზია.

ეს კი—მილიციელია—
მომრაობის წესებს იცავს,
ავტო მარჯვენე გაატარა,
არც ტრამვაი დაივიწყა.


დგას მოედნის შუაგულში
და მისი ხმა არც კი ისმის;
მომრაობის წესებს იცავს,
მორჩილია ყველა მისი.

უცბათ შაქე შეერთა შინით,
— ეს ვინ არის?—ჰკითხა ვაჰანს,
— ჩვენი მილიციელია,
ნუ თუ მართლა არ გინახავს?!

შაქე დამფრთხალ თვალს აციცებს:
— იქნებ პოლიციელია?..
ან მრისხანე ბატონია,
ბატონი ხომ ძლიერია!..

შაქე მოწყდა ადგილიდან,
ბურჩქებს შორის მიიმალა,
მივირბინეთ, ვევედრებით,
ის გვახსუსობს:—არა, არა!

პოლიციის მეშინია,
ცემა უყვართ ღარიბების...—
შაქეს ბევრი ვეზუდარეთ,
ხვეწნით, კოცნით, ღარიკებით.





— შაქე, კარგად მოგვისმინე!
მოგვისმინე ერთი წუთით!
ერთვანი სულ სხვა არი,
სულ სხვა არი ბეირუთი!

ბეკსაუბრა, დაგვარიგა,
შაქეც უსმენს, გაინაბა!

გაკვირებული გვიცქერის
გოგონა თვალმზონიანი...
ძველთან შეგჩერდით:—არ იცნობ?
ძეგლია შაუმიანის!

* * *

ყველაფერი აუხსენით:
«ის ხომ მილიციელია,
ის წესრიგის დამცველია,
ხალხი მისით ძლიერია.»

ისმის საყვირის ძახილი,
ისმის ტრამვაის წკრიალი,
ნურაფრის ნუ გეშინია,
სწორ ქვაფენილზე იარე.

შენ წიგნში არ წაგიკითხავს
მისი გმირობის ამბები?
ლენინის მოძმე ყოფილა,
ერთგული ამხანაგების.

ის არგის ცემს, მხოლოდ ტუქსავს,
ვინც სახალხო წესრიგს არღვევს,
ვინც რომ ზღაღავს საბჭოეთის
მოქალაქის წმინდა სახელს.

ეს შადრევანი დაფურეებს—
მაღლა ცას წვდება ბელეზით,
ეს ხეივნები ამბობენ
სიმღერებს ბედნიერების.

თავგანწირულად იბრძოდა
შექმნა ბედნიერება,
დააპატიმრეს, აწამეს
და მოკლეს ინგლისელებმა.

კეთილს, ჭკვიანს, პატიოსანს
ზრდილობიან პასუხს აძლევსა.

აი, შენოზა ახალი,—
მაღლა ზეტაში აწვდილი,
ზღაპრულ კოშკებზე მაღალი,
მოჩანს სტალინის გამაზირი.

— ჰო, მამარმეცი...—თქვა შაქემ,—
უცხოელებმა შეიპყრეს.
— რისთვის?
— არ ვიცი... ვერ ვიტყვით,
მე ძალზე გვიან შევიტყვე...

ჩვენ მივედით ახლოს მასთან,
პიონერულ საღამს ვაძლევთ,
ის მხედრულად მოგვესალმა,
წამოვიდა ჩვენკენ წამსვე.

— ეს სახლი ნეტავ ვისია
და ან ვინ ეპატრონება?
— ქალაქის საბჭოს ეკუთვნის,
სახლი და მთელი ქონება!

ამბობდნენ: თურმე წყველიდა
უცხოელების სამართალს
და თურმე ერთხელ ბეირუთს
ხალხის მიტინგი გამართა...

— გამარჯობათ!
— გაგიმარჯოთ!
— რად გარჯილხართ ან რა გინდათ?
— გაიცანით, ამხანაგო!
წუღან თქვენი შეეშინდა!

— ეს ბაღი ნეტავ ვისია,
ასე ღიღი და ზღაპრული?
— ქალაქის საბჭოს ეკუთვნის,
ბაღი საქვეყნოდ განთქმული!

მივედით; აჰა გამორჩეულად
ბედნიერ ხალხის ღიმილი
ღიადი ძველი გენიის —
უსაყვარლესი ილიჩის.

ის შორეულ მხრიდან არი,
მან არ იცის ვინ ხართ თქვენა.
ძიამ ზაგუშებს ვადმოგვცედა,
გაუწოდა მას მარჯვენა.

— ეს მაღაზია ვისია?
— ის მაღაზიაც ვისია?
— ქალაქის საბჭოს ეკუთვნის,
აქ, ყველაფერი მისია!

დგას მოედანზე, კვარცხლბეკი.
ხალხსიკენ ხელებგაწვდილი,
საბჭოთა ხალხის შემქმნელი
და ხალხის მამა ნამდვილი.

— კეთილ იყოს შენი მოსვლა,
საიდან ხარ, ვისი შვილი?..
— ბეირუთით ჩამოვედით
სხვებთან ერთად გუშინ დღით.

— უპ, რა მდიდარი ყოფილა,
მართლა ყოფილა მდიდარი!
აუხსნეს, უთხრეს, უამბეს
საბჭო მდიდარი რით არი!

და უცბათ შაქე გაიქცა,
კიბეზე არბის ფრთამალი.
გახარებული შესძახის:
ღიღი ლენინს ჩემი საღამი!

გადღემა ძიას უცებ,
— ყოჩაღ!—უთხრა შაქის სწრაფად.

თარგმნა ჩემპანე მარგინაძე

(დასასრული შემდეგ ნომერში)





რეპე ჯაჰარიძე

გრძელი გზა

ნახ. შ. ცხადაძისა

კუჭუშმალობას როცა თამაშობდნენ, ბოსლის თავი იყო ჯუშბერის სახალავი. გულმა და დარეჯანიც უმაღლ ბოსლის თავს მიაშურებდნენ. ჯუშბერი სახმედლო შეძვრებოდა თევაში და იქიდან აღევნებდა თვალს უშვროს დებს. გულმა და დარეჯანი კიბეზე აჩოჩდებოდნენ, მაგრამ ველარ ბედავდნენ თევაში შეძრომას. ეშინოდათ, რადგან იქ ყოველთვის ბნელოდა, დღითაც და ღამითაც.

— სადა ხარ, ჯუშბო, გამოდი! — დაუძახებდნენ გულდაწყვიტილი დები.

ჯუშბერი კი არხინად იჯდა თევაში, ვითომც არ ესმოდა. ო, რა კარგი იყო აქ! სათიბიდან ახლაღმოკანილი თივის სუნი აბრუებდა, ცხვირში უღიტიწებდა. თმაგაჩინილი გამოძვრებოდა ხოლმე. ჩამოირბენდა პაწია კიბეს და პატარებს გასძახებდა:

— აი, — მე. ვერ მიპოვნეთ! ვერ მიპოვნეთ!

ჯუშბერი გასულ წაფულს მეოთხე კლასში გადავიდა. გულმა და დარეჯანი ყველაფერს უჯერებდნენ მას, რადგან ჯუშბერი ჭკვიანი ბიჭი იყო. მან ყველაფერი იცოდა. როცა თამაშობით დღივლებოდნენ და თავს დღი კაკლის ქვეშ მოიყრიდნენ, გულმა შეეხვეწებოდა:

— ჯუშბო, გვითხარი, რად არის ასე ღამაში ჩენი ნიკორა?

„ნიკორა“ ხმოს ერქვა.

— იმიტომ, რომ ღამაშია, — მიუხედავად ჯუშბერი.

— ჯუშბერი, გცივა? — ახლა პატარა დარეჯანი ჭკითხავდა მას.

— ცოტათი.

— მეც. შენ, გულმა?

— მეც მცივა.

— წამოდით, ბოსლის თავზე ავიდეთ, იქ თბილა.

— რატომ არის სცივი? — ისევ იკითხავდა დარეჯანი, რომელიც სულ უშვროსი იყო.

— იმიტომ რომ წამთარი მოდის.

— ახლა სად არის წამთარი?

— აი, იმ მთის იქით.

— მერე აქ მაღლ მოვა?

ერთ დღს ჯუშბერმა აღერ მოიბრინა სკოლიდან. მეორე დღე კვირა იყო. ისადილა, გაკეთილები მოამზადა და დარეჯანში გამოვიდა. დებმა დღითვე შენიშნეს, რომ ჯუშბერი უფერებოდა იყო. დაღონებული ძმის დანახვაზე ისინიც შეწუხდნენ.

— ჯუშბერი, რა მოგივიდა? — ჰკითხა გულმა.

— არაფერი.

— მასწავლებელი გაგიჯვარდა?

— არა.

— აბა?

— დეილა მომენატრა.

ეს რომ თქვა, ჯუშბერს ცრემლი მოერია. გულმა და დარეჯანიც აცრემლდნენ. დეილა ამათაც ენატრებოდათ.

— ნუ ვითამაშებთ, — თქვა დარეჯანმა, რომელსაც მეტსახელად ტიქინა ერქვა, მაგრამ შემოკლებულად ტიქის ეძახდნენ.

ჯუშბერი იმ მთას გაჰყურებდა, რომლის გადაღმა წამთარი იყო.

— რის უყურებ, ჯუშბერი? — შეეკითხა გულმა.

— მთას. ახლა იქ არის დეიდას სახლი.

გოლონები ჩააფიქრა ძმის სიტყვებმა. დეილა ხომ აქ ცხოვრობდა. ახლა იმ საძაგელ მთაზე რად უნდა იყოს მისი სახლი? ვიღაც კაცები მოვიდნენ, აივანზე იმღერეს, მერე ცხუნებზე შესხდნენ და დეიდაც თან წაიყვანეს. დარეჯანს ტირილი მოუვიდა. დეიდა ძალიან უყვარდა.


უცებ ჯუშბერმა თქვა:

— გინდათ დეიდას ნახვა?

გოლონებს თვალები გაუბრწყინდათ.

— მე ვარკენებო.

ამ სიტყვებზე შინ შეიბრინა. ისევ მაღლ გამოჩნდა. ხელში ქელმოგვირისტებული პაწია წინდები ეჭირა.



— ჩიცვით! — უთხრა გავიკრებულ დებს.
სანამ ისინი ჩაიცვამდნენ, თვითონ ჰიშპირსკენ დაეშვა. მა-
ლე შუტროსბეცი აედევნენ.

* * *

ჩაუბრეს ბოსელს, მერე საქათმეს, ბოსტანს. გოგონები
უსიტყვოდ მისდევდნენ მას. აი, ეს ბილიცი წყაროსკენ მი-
დის. ყველთა დიდი ბაღია...

ბილიკზე ვიღაც გამოჩნდა.
— ვირბნით, — თქვა ჯუმბერმა, — ტიცი, შენ პატარა
ხარ. ყველაზე წინ გაიქეცი, თორემ დაგვეკარგები.

— მე გზა არ ვიცი — მივლო დარეჯანმა.
ამ დროს ჩაბაღიანი კაციც მოუახლოვდათ. წყაროდან
წყალი მოქონდა.

— გამარჯობა, ჯუმბერი ამ შენი დებით საით გაგიწევია?
— თქვა ეს და გაიარა.
ჯუმბერმა წაუყურა. არ უნდოდა ტყუილი ეთქვა.
ჩაივაცეს.

— ჩქარა უნდა ვიართო. შეიძლება დაგვადამხს, — თქვა
ჯუმბერმა, — ივლით?

— მე ვივლი, — დამოწმდა გული.
აქ ცოტა ხანს დაუცადეს დარეჯანს, რომელიც ძლივს
მობაჯავაჯებდა.

— დაბრუნდი, ტიცი, — უთხრა მას მამამ. — დაბრუნდები?
მაგრამ დარეჯანს არ უნდოდა დაბრუნება. მას ყველაზე
უფრო ენატრებოდა დედა.

— აბა, კარგი, — გადაწყვიტა ჯუმბერმა, — მაგრამ თუ
დაიღალა და ვეღარ იარო, იცოდე, ჩემი ბრალი არ იყოს.
საჩქაროზე გაიარეს ალუბლის ბაღის ჰეშკარი. გზის შესა-
მიკლებლად ისევ ბილიკს გაჰყვნენ. ბაღში ხეები გაეხსლათ.
აქაქ წვრილი ტოტების გროვა იდგა. შორიდან ტრაქტორის
გუგუნე ისმოდა. ბაღის ზემოთა ნაწილიანი ძროხები შემოხ-
ვდათ. ხბოები კუნტურუშებდნენ, ძროხები უხალისოდ წიწკნი-
დნენ მწვენი ბაღასს.

ჯუმბერმა წყებდა მოძებნა. საქონლს შეუტია. დარეჯან-
მა თვალი გააყოლა ამათ მოკაუჭებულ რქებს და როდესაც
ძროხები ზარბაცად გასცილდნენ ხიმეს, დაღლილი ხმით და-
ძიანა:

— ჯუმბერ, ვადამიყვანი!
აქ არტყობს დიდი ვენახი. დედას სამხარი წაუღო მამას.
ახლა მამონი პანჭა მსხლის ძირას სხედან. სამხარობენ. ჰიშპარ-
თან ლერწის კონები აწყვია. უჰ, რა ბევრი ვაზი გაუსხლავთ!

— გულო, — წასჩურჩულა შუთთანა და ჯუმბერმა, —
როგორ ატყობ, დარეჯანხადმენ?

— არ ვიცი, ჯუმბერი. ეს რა ხეებია?
— ვერხეები.

— უ, რა თეთრი ხეებია!
— სადა? — ხმა მოაწვინდა უკან ჩამორჩენილმა დარე-
ჯანმა.

— ქიჩორა თავები აქეთ, როგორც ჩვენს ყვინიჩლას, —
ამბობდა გულო, — ნეტავი ეწოში გვეწონდეს ამისთანა თეთრი
ხეები.

— რად ვინდა? — გულმოსულად ჰკითხა ჯუმბერმა, რომე-
ლიც ისევ გახსლულ ვენახს უთვალთვალებდა.

— არაფრად, ისე.
— ისე არ შეიძლება. ვერხეი აღამიანს არაფერში არგია.
წყალს არ ისხამს.

— საიდან იცი?
— გვასწავლეს, — დინჯად უპასუხა ჯუმბერმა, — ტიცი,
დაიღალე?

— არა, — ჯუმბერმა დარეჯანმა.
— აბა გამოიქეცი, დავეწეო.

საურბე გზაზე გადინდნენ. აქ ხავსთან ქვასთან დარეჯანს,
ჯუმბერი ქვეშა უნებტა. არე-მარეს თვალი მოავლო. ქვეშაღან
კიდევ მოედინებოდა გამაძვარი საქონელი: რქებატრელებული
თხები, დაღლილები ხარები. ბატკნები ერთმანეთს ხმლებო-
დნენ და გაოცებით უყურებდნენ პატარა მგზავრებს.

დარეჯანს ყველაფერი აკვირებდა — თხებიც, ხარებიც
და ბატკნებიც, უნდოდა ჯუმბერისათვის ეკითხა, ეს დიდი
ქვა საიდან მოუტანიათო, მაგრამ ჯუმბერი ისევ მძლურული
იყო.

გრუხუნეი მოისმა. ჯუმბერმა და გულამ ცას ახედეს.

— წემა იქნება, — თქვა ჯუმბერმა.

— უნდა იქნეს რა ვქნათ? — შეშფოთებით ჰკითხა გულამ.

— ასანთი მაქვს. ცეცხლს დავანთებთ.

— მერე შეშა?

— შეშვაც იქნება.

გულოს უხაროდა, რომ ასე ძლიერი ძმა ჰყავდა. დარე-
ჯანსაც უხაროდა. ასეთ ძმასთან არასოდეს არ შეგებონდებოდა.

გზას მანქანის კვალი დამჩნევდა. ურემბსაც გაეცლოთ.
ჯუმბერი მანქანის კვალს მიჰყვა.

არტყობს დიდი მარანს ჩაუბრეს. აქ ჯუმბერს რაღაც გა-
ახსენდა. უტყვ მობრუნდა და დები გააფრთხილა:

— თქვენ იცი? გზაზე ორი დიდი მდინარეა. უნდა გადა-
ვიართო. ხომ არ გემინათ?

გოგონებს შეეშინდათ, მაგრამ არაფერი თქვეს.

— რა მანაცია ჩემი ჯუმბო, არა? — წასჩურჩულა გულამ
დარეჯანს.

— რა?

— ერთხელ ის მდინარე ადიდა, ხიდი წაიღო, — განა-
გრძობდა ჯუმბერი, — მე და მამა წისქვილზე ვართ. ვხედავთ,
ურემბ მოიჭვს მდინარეს. ხარებს თავი ამოუყვანო წყლიდან.
თვადებს აბრიალებენ...

ბავშვებს თავზარი დასცა ამ სასინელმა ამბავმა.

— ნამირზე იდღენი ხალხი შეიკრიბა, ვერ დაითვლიდი.

— მერე? — ვეღარ მითმინა გულამ.

ამ დროს ჩაიბრეს გუნღმა გადაუტრიალა გზას და ცაში
გაუჩინარდა.

— წემა იქნება, — დარწმუნებით გაიმეორა ჯუმბერმა.
მამა ყველაფერი დაავიწყათ. ფეხს აუჭქარეს.

* * *

მდინარე ლუხუნაას პირზე პატარა წისქვილია. ჯუმბერს
ორჯერ უნახავს ეს წისქვილი. ერთხელ მამამ წამოიყვანა ურემბი,
საფეხვეი ჩამოიტანეს, მეორედ მამამ, დედა რომ მიჰყავდათ
ცხენთან კაცებს.

ლუხუნაა დიდი მდინარეა. ზაფხულშით ბიჭები დღიან
ხოლმე სათევზაოდ. ნეტავი ხად წავიდა კეთილი მეწისქვილი?
ჯუმბერს უნდა ჰკითხოხს, ხიდი არის თუ არა აქ საღმე.

დები გზაზე დასტავა და თვითონ წისქვილის დერეფანში
შეირბინა. ჰრეღებოდა წიწკნები დაფრთხნენ. წისქვილის
ჩაკეტულ კართან გულმოსული კრუხი ნაგავს ქექავდა. ჯუმ-
ბერმა დაჰქუმა, მაგრამ კრუხი კიდევ უფრო გაჯავრდა.

აფოჭრილი ფრთებითა და ბოროტი თვალებით იმუქრებოდა.
ახლა დარბისკენ წავიდა ჯუმბერი. წისქვილს შემოუარა,
იქნებ აქ მანაც ვნახო მეწისქვილი. მეწისქვილე არც აქ იყო.
ხავსთან დარბეში გაშვავებთ მოედინებოდა წყალი და გრი-
ალით ებუთქებოდა ბორბლებს. სალტანი ბორბლები ჩიკორი-
ვით ბზრიალებდნენ.

ჯუმბერი გაიტაცა ამ სანახაობამ. თვალი ვეღარ მოაცილა. დარების თავზე ფიცარი გავდოთ. ჯუმბერი ამ ფიცარზე შედგა და მერვე ნაბიჯზე გადავიდა. იქვე ბოხბანი იყო. ლსების ქეპირთან თერთი ძაღლი იბა. ძაღლმა ბავშვი დაინახა და შეჩვენა. ჯუმბერის შეშინდა. საჩქაროდ დაბრუნდა უკან, გულმოსულ კრუსს ფეხსაკრებეთ ჩაუარა და ჩუმად დაიძახა:

— გულში დარეჯანი
გისისიბის ბუჩქებში გოგონები გამოჩნდნენ. კრუსი ამა-
თაც დანახათ და დამალულიყვნენ. ისინი აღტაცებით უყუ-
რებდნენ უფროს ძმას, რომელმაც ასე ახლოს ჩაუარა კრუსს.
ერთითადად რწმუნდებოდნენ ჯუმბერის სიმამაცეში.

გულში პირველი გამოვიდა. ჯუმბერმაც ამას წასჩურჩულა:
— მეჩვენებოდა არ არის, იცი?
— მერე რა ვქნათ?

— სიღი უნდა მოვძებნოთ. აქ ახლა იქნება. წამოდი,
ტიკი!

ჯერ პატარა ბექვე ავიდნენ და აქედან გადახედეს მდი-
ნარე ლუხუნისა თვალუწყვედელ ქალას. გულმა და დარეჯანი
აღტაცებაში მოიყვანა აუარებელმა თერთი ქვეამ, რითაც
ქალა იყო მოფენილი. იქით, რიყის მერვე ნაბიჯს ქურდუ-
ლად მიიპარეოდა მდინარე ლუხუნისა.

ის თერთი ძაღლი რომ არ ყოფილიყო, ჯუმბერი ფიცარზე
გადაატარებდა დებს. მერე რიყეზე გავიდოდნენ. ორივეს მა-
ჯაში ჩააგლო ხელი და იქით წაიყვანა, სადაც ნაბურთაში
ტელეფონის ბოძები იდგა. დარეჯანი მალე დაიღალა. სი-
არული უჭირდა. როგორც იქნა, მიადრეის ბოძებამდე და შე-
ისვენეს. ჯუმბერის ყურადღება გულში მიიპყრო. იგი ხმაშა-
ლა ტიროდა.

— რა მოვივიდა, გულა?
დარეჯანი გაოცებული ჩანდა. კვლავ თერთ რიყის გადა-
სცქეროდა.

— რა გატირებს, გულა? — ისევ ჰკით-
ხა ჯუმბერმა დას.

— დედა... დედა... — ზღუზუნებდა
გულა.

— არა გრცხვენია? ამოდენა ქალი
ხარ და ტირი. აბა პატარამ რაღა ჰქნას!
დარეჯანი გმირულად იტანდა გან-
საცდელს. თითქოს ისიც რაღაცის და-
ეძებდა.

— ჯუმბო, ის რა არის? — დაძახა
მან და წამოდგა.

— სად, ტიკი?

— იქ, — მდინარისიბის ტირიფები-
საკენ გაიშვირა ხელი დარეჯანმა.
ჯუმბერის სიხარულს საწლავარი აღარ
ჰქონდა: დარეჯანმა ხილს მიაგნო.

ისევ ყანაზე დაეშვენენ. მაცდლისა და
კუნთლის ბუჩქებს ჩაუარეს. დაღმართში
ფეხი უსხლტებოდათ და ფეხსაცემლში
სილა ცვიოდა. ჯუმბერმა მხარზე შეისცა
დარეჯანი. ამ დღიდან კიდევ უფრო შე-
უყვარდა თავისი უმცროსი და.

ჭრიალა ბონდი მდინარის მთელ სიგა-
ნეზე იყო გადაჭიმული. აქეთა მხარე
კლდეზე დაემაგრებინათ, იქთა კი თხმე-
ლებში იკარგებოდა.

ჯუმბერმა დარეჯანი ჩამოსვა. ფი-
ცარზე შედგა. ბონდი შეინძრა, ჭრიალი
მორთო. ძნელი იყო გავლა. შუაგულს მი-

ადწევდნენ თუ არა, ბონდი ქანაობას დაიწყებდა. სახელურები
ძალზე მაღლა გაეკეთებინათ. ჯუმბერი ვერასვლით ვერ ასწვდა.

— რა ვქნათ? — კიდევ იკითხა ნამტირალდამ გულამ.
ჯუმბერის სწენიდა, რომ გასაპირში გული ყველაზე უფრო
სულმოკლე და მხალისი აღმოჩნდა.

— არაფერი, უნდა გადავიდეთ, — მშვიდად უპასუხა დას.
ეს თქვა, მაგრამ გულში მინც შეში შეეძარა. როგორ უნდა
გადასულთყვენენ?

— აქ მოიცადეთ. ფეხი არ მოიცვალეთ, — მიუბრუნდა
პატარებს და ბონდზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ამ ერთს
მეორე მიაყვალა, მეორეს — მესამე... ბონდი ჭრიალზედა,
ქანაობდა.

ისევ მალე დაბრუნდა უკან. გულსა და დარეჯანს არა-
ხლეს არ ენახათ თავიანთი ძმა ასე ჩაფიქრებული. გულის
უკან დაბრუნება უნდოდა. ჯერ ვერ გაებედა თქმა, მაგრამ
ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო:

— წავიდეთ რა, ჯუმბო... წავიდეთ...
— აბა, როგორ წავიდეთ! მეც მაგაზე ვფიქრობ.
— შინ წავიდეთ, გულა, დამეგება... — ისევ ტირილი
აუვარდა გულს.

— ახლა კი გეტყვი, გულა, რაც წელან გაციფიქრე, —
ვეღარ მოთმინა ჯუმბერმა, — შენ ღირსი არა ხარ იყო
მე და ტიკისა. შენ მხალი ყოფილხარ.

— და... ბლა... — ტიროდა გულა.

— შენ, გეტყობა, არავინ არ გიყვარს. მარტო შენი თავი
გიყვარს, — განაგრძობდა ჯუმბერი, — აკი გინდოდა დეიდას-
თან წასვლა?

— მინდა, ჯუმბო, მაგრამ მეშინიაა...

— აბა პირობა მომეცი, რომ დღიდან აღარ შეგეშინდ-
ბა. ტიკიც აქ გვესწრება. მალე აქ, ტიკი!
ტიკიც მოვიდა. ძმას მხარში ამოუღდა.

— აბა თუ მაგრეა, ყური დამივდე, — განაგრძო ჯუმბერ-



— არა გრცხვენია? ამოდენა ქალი ხარ და ტირი.

მა, — შენ აქ დარჩები. მე და ტიკი იქითა მხარეს გადავდივართ. გაიგე?

— მე მარტო დარჩე?

— ზო, უნდა დარჩე. ბონდზე ერთად ვერ გავივლით. გაიგე?

ამ სიტყვებზე ჯუმბერი პირქვე დაემხო. ორივე ხელი ღონივრად ჩაისვიდა ბონდის ფიცრებს და დარეჯანს მიუბრუნდა:

— აბა, მარდად, ტიკი, ზურგზე შემაგვიტე.

დარეჯანმა უსიტყვოდ შეასრულა უფროსი ძმის ბრძანება. ფუნჩულა ხელები კისრზე მოხვდია და მაგრად მოუჭირა.

— ახლა თვალები დახუჭე, ოღონდ ხელი არ გამოიშვა.

მერე ფიცრებს დაეჭრნენ და წინ გახიზნა. თვალები თვისთნად დახუჭული ჰქონდა. მხოლოდ ხანდახან გაახლებდა, რათა გავიერ, მდინარე ახლი იყო თუ შორს.

— ტიკი, ხომ არ გეშინია?

— არა, — თავისაზე იღვანე დარეჯანმა.

მაღელვარებით შრიალი მოისმა და ბონდზე მდინარის ქარმა დაშორდა. ჯუმბერი შეტრიადა. უკან მიხედდა: გულთ ბონდის იქითა ბოლოში იგდო ქაჯე. მკანს ტირილდა.

— ჯუმბო, გვახსილ? — დიდახა უცებ დარეჯანმა.

— არა, ჯერ არა, ტიკი. ახლა მალე მივათ.

გულთც რომ გადმოიყვანეს და მდინარე ღუბუნია უკან დარჩა, სისარწულით აივხნენ. გულთ ერთხმად გამობარულდა. სულ დაავიწყდა ამ ცოტა ხნის წინათ გადატანილი შიში. მაგრამ ამ უსაზღვრო სისარულს ფრთები მალე შეეკეცა. ცა კიდევ უფრო მორბუტულიყო. მზე ვეღარ დაინახეს. აბა ემე გაიფიქრა, ჩავიდა თუ დარბულებში მიმავლა. მიიხედეს იქით, საითაც თავიანთი სოფელი ევლებოდათ. წისკვალეს კი აღარსად ჩანდა. ყველაფერი სქელ ნისლში იყო გახვეული. გულთ შუაში ჩაიყენეს, წინ დარეჯანი მიდიოდა, უკან — ჯუმბერი.

ქაჯიანი ეკლთი შემოღობილ ვენახებს გაუარეს და ისევ რიყზე გავიდნენ.

გულთს გაახსენდა, რომ მეორე მდინარეც ჰქონდათ გასასვლელი. ძმის მიუბრუნდა.

— ჯუმბო, რა ჰქნეს მერე იმ ხარებმა?

— რომელმა?

— აი, იმ ხარებმა, წყალმა რომ მოიტაცა.

გულთს ხმა უთრთოდა. ხელები უკანკალებდა.

— გადავარჩინეთ, — მოკლედ უპასუხა ჯუმბერმა.

— ვინა, ჯუმბო, შენ?

— ზო, — იცრუა ძმამ.

ამ პასუხმა გულთ გააშხენდა. ცოტა ხანს უხმოდ იარეს. რიყის ქვები თანდათან გახშირდა. სილას სისველე შეეპარა. მთის პატარა მდინარე სატოპლას მიადგინეს.

— გაღმა სოფელია, ზედუბანი, — თქვა ჯუმბერმა, — სატოპლას გავივლით თუ არა, მისული ვართ.

— ჯუმბო, რად ბნელა ასე? — იკითხა დარეჯანმა.

— დამდება. გეშინია?

— არა, შენთან არ მეშინია, ჯუმბო.

— შენ, გულთ?

— არც შე, — თავს ძალა დაატანა გოგონამ.

— აბა, აქ დამივადეთ, ახლავე მოვალ.

ჯუმბერი მდინარესთან მივიდა, ნაპირს დაჰყვა. ერთ ადგილას წყალი თბილად ეჩხენა. მდინარე ისე არ აზინებდა, როგორც დაღამებმა. აქვე ახლოს არც წისკვილია, არც მეჭვილეების კარავა. ვიჭვავთ, ფეხი დაუძვლი მდინარეში, ყველა წყალმა წაიღოს? ღამეა. ვერავინ დაინახავს, ვერავინ მიეშველება.

— რა შვრები, ჯუმბერი, ხელი? — მოესმა გულთს ძახილი.

— ჰო, უფრო გავხიზნი.

— გაცივდები, ბიჭო.

— ნუ გეშინია.

ტანკის ტყვიამრეკვეი კლემენტინის უნივერსიტეტთან უყვე ცხრილებს ქუჩის. მენიბის კედლებს კირკვა სცივია. პეპიკს ცეცხლზე ქუჩის მთვრე მხარზე გადაიბრინა. ეს არაფერია, იოლი საქმეა აგერ ცალფეხა მამაკაციც გადადის ქუჩაზე, და ისიც რა ნელა. მაგრამ ხომ არაფერი დაშვებობა შიტლერელები იწყებენ ბრძოლას. პარანუტისტები — ეს ჭრელსალოაინი ურჩისულები — ტროტუარიდან ტროტუარზე გადაიბრინა. ჩვენები ესხარა მათ ენაფერიცა, საღარბაზო კარებიდან, სახლის კუთხეებიდან. ესერიან მშვიდად და გამოზომილად. ყაზარმასთან, ძელზე, რომელზეც ექვსი წლის განმავლობაში „სესკიტაკ“ იყო წამოჩრილი, წითელ-ლურჯ-თეთრი ალამი ფიორილებს. სახურავიდან, საწვიმარ მილს ამოფარებულთ ისგირის ესხმეული მკვლავი. იგი კარგად ვერ უშიშნებს, სამი ტყვია კედელს მოხვდა, არავინ დაუზიანებია.

— აბა ერთი, მომეცით აქეთ ეგ შაშხანა! — დამასა უი-

* ჭუსიტები — მიმდევრები იან ჭუსისა, რომელიც ჩემთვის რევოლუციური რეფორმატორი იყო XV საუკუნეში.



არაღო ტრამეაღმა, ვაჟკაცურად მოქიცია ქუდი გვერდზე და დაუწყულოდანი, როდის გამოჰყოფდა მკვლელი თავს. შერე პირდაპირ თვალსა და თვალს შუა ჩააჯიწა ტყვიან, თითქოს ფანქრით წერტილი დაუსვია. ბანდები გადაქანდა, ხელები გაშალა და ტრიალ-ტრიალით ტროტუარს დაასკდა.

— ესეც პარაშუტისაა! — იღიმებიან ყმაწვილები.
ტანკები, ტანკები და ტანკები!
შაბათს, კვირას, ორშაბათს ტანკები აწყდებოდნენ ქვაფენილის ქვებისგან აგებულ გადალუხავ ბარიკადებს. პეპიკი ჰაშუკი თავის ფუხტ-ვაწანს ხელიდან არ უშვებდა, ხელში დასაქრადღაც არავის აძლევდა. მხოლოდ დარბაზებს თუ მოისმენდა, როგორ იყო საჭირო მისი გამოყენება.

და მერე...
ბარიკადის დამცველებს შორის სამ მებრძოლს ჰქონდა ფუხტ-ვაწანა. ტანკი მიუახლოვდა ბარიკადს ორმოც მეტრზე. ერთმა მებრძოლმა თვალები დახუჭა და ჩანახს გამოსწია. არავითარი შედეგი. მებრძოლმა გადაადგო ეს არაფრის მამწინისი ხარახურა, თვალღებში შიში ჩაუღვავა. იგი გეფივით გაიქცა ბარიკადიდან, მიუხედავად იმისა, რომ ტყვიამფრქვევი ირგვლივ ყველაფერს ცეცხლავდა.

შემდეგ გაისროლა მეორემ. ტანკი ოცდაათ მეტრზე იყო. მსროლილი კედელს მიეყრდნო და ისე გაისროლა. გასროლის შემდეგ მებრძოლი ნაკუწ-ნაკუწად ნახეს ქვეულში.

ტანკი უკვე ოც მეტრზეა.
პეპიკი საშინელებისგან სულ ცახცახებს. იგი მხოლოდ ჩვიდმეტრ წლისაა. „სახლიდან ფეხი არ მოიცვალა, თორემ მაგ ფეხებს მოგამტვრევ!“ — უთხრა მას მამამ. მამა აქ რომ იყო, პეპიკს შესახებდა: „მოგამტვრევ მაგ ფეხებს, თუ არ გაგისროლიაო“. პეპიკმა თვითონაც კარგად იცის მამის გარეშე, ბრძანების გარეშეც, რომ უნდა გაისროლოს. ბერლინიდან წითელარმიელები იბრძვიან, მათ შორის ჩვიდმეტრე წლისი მონალისტებიც არიან. ჩვიდმეტრე წლის ადამიანი მოზრდილი ადამიანია. პეპიკი უშიწნებს, დიდხანს უშიწნებს. შიშისგან კბილზე კბილს აცემინებს. „ქვეწარმავალი, ქვეწარმავალი, ფაშისტი ქვეწარმავალი!“ — ენა მაშინაღურად იმეორებს ამ

სიტყვებს, მაგრამ პეპიკი მათ მთელი თავისი არსებით გრძნობს.

ტანკი ოთხმოეტ მეტრზეა.
ტყვიამფრქვევი პირდაპირი დამიწნებით ურტყამს ბარიკადს, გრანიტის ნამსხვრევები ყოველმხრივ ცვიან. პეპიკი მიუუფრულად დრიწოსთან, რომელიც თითქოს განგებ ფაუსტ-ვაწანისთვის იყო დატოვებული. ნეტა ირგვლივ თუ არიან კიდევ მსროლელიები? მის მახლობლად, ნეტავი, კიდევ თუ ვინმე არის? იგი თავს მოკლად მარტოკა გრძნობს, ამ წუთში მას უდღეღისი პასუხისმგებლობა აქისრია. პეპიკმა სახსრეტს გამოსწია და ერთბაშად დაყრუადა, დაბრმავდა, დაჰკარგა ცნობიერება, შეგრძნება, ყნოსვა.

მოცვივდა ხალხი, პეპიკს შემოებვივნენ, კოცნიან, გულში იკრავენ, და მხოლოდ ახლა მოვიდა იგი გონს. ეს რა არის, ფეხზე დგას თუ მიწაზე წევს? ნუთუ ნაკუწ-ნაკუწად არ არის დაფლეთილი? არა, იგი ჩაცვტკულა პატარა ბიჭუნასავით, ბოსტანში ცერცვით პირს რომ იტპბარუნებს. ფაუსტ-ვაწანის სახელური პეპიკს ისევ ილღიაში აქვს ამოჩრილი.


იგი ფეხზე წამოაყენებს, ვიღაც აღფრთოვანებით უტყაბუნებს ხელს ბიჭუნზე.

— აბა, შეხედე, ბიჭო, შეხედე!
მხოლოდ ახლა დანახა პეპიკმა რკინის მხეცი. ტანკის მუცელი გამოადრულია და ბოლი ახდის. ცეცხლწკვიდებულ ბუნების მსუბუქი ალი მუხლუხა ბორბლებს ლოკავს. ბედნიერების გრძნობამ გამოაფხიზლა პეპიკი ჰაშუკი, მამაკაცების ხევიან-კოცნამ გამოაცოცხლა იგი, აღტაცებული ადამიანები სულში იძვრნენ ბიჭუნას.

პეპიკმა ცარიელი სახელური გვერდზე გადაადგო. კიდევ ერთხელ შეხედა დამრცხებულ ურჩხულს. შემდეგ გადააფურთხა, ფართოდ გაახილა ბზასავით ცისფერი თვალები და ბედნიერების სისავსით სუნთქვაშეკრულმა წამოიძახა:

— აი, ეს მემისი... ბარაქალი!

ჩხებურიდან თარგმნა
შალვა შვინციძე



ადექსანდრე სავაიი

შესრულდა ათი წელი ნიჭიერი ქართველი პოეტის ალექსანდრე სავაიის გარდაცვალებიდან. სავაია ეკუთვნოდა ქართული მწერლობის იმ თაობას, რომელიც ასპარეზზე დიდი სამამულო ომის წინა წლებში გამოვიდა.

თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე ახალგაზრდა პოეტმა უტყუარი ნიჭიერება გამოაქვეყნა და მკითხველის საყოველთაო მოწონება და აღიარება დაიმსახურა. საბჭოთა ახალგაზრდობისადმი, გმირული კომკავშირისადმი, მამაცი საბჭოთა-არმიისადმი, საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალული მისი მალღობხატრული ლექსები: «წყარო», «სამშობლო ჩვენია», «ბორის ძნელაძის ძეგლთან», «სახლი», «ფოლადი», «ბავშვთა პარადი გორის ქუჩებში», «სომხეთი», «ოლეგ კოშევი» და სხვები ყოველთვის საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვის.

გარდა შესანიშნავი ლირიკული ლექსებისა და პოემისა «უტუ მიქვა», ალექსანდრე სავაიის ეკუთვნის თარგმანები ინგლისური პოეზიიდან და ბავშვებისათვის დაწერილი რამდენიმე ზღაპარი.

ქვემოდ გებუდავთ ალექსანდრე სავაიის ლექსს «სამშობლო ჩვენია» და ზღაპარს «ორი ყანა».



სამშობლო ჩვენია

დაეცი, შენი ცა დაგნათის...
ნამიცი ხომ იარებს გისეველებს.
სისხლიან მაჯაზე საათი
ჩურჩულებს, ჩურჩულებს ისევე.
განა ჩვენ გაქცევა გვჩვევია, —
გავარდევთ, გავშლით და გავიტანთ,
კაპიტან, სამშობლო ჩვენია,
ჩვენია სამშობლო, კაპიტან!
ასეთი სიცოცხლე სად თქმულა,
ბრძოლაში ერთი და იწოდა.
სიჩუმე ვით შესძლოს ამ გულმა,
იმგვარი ხმაური იცოდა.
დაღამდა! ძნელია ატანა,
იტვირთვარსკვლავნი გისმენენ.
დაღამდა. ისარი პატარა
ჩურჩულებს, ჩურჩულებს ისევე.

რა იყო, დღეს წამმა თითომა
იფეთქა და ხანძარს ვინ მოსთვლის...
დღეს იგრძნო პაწია ლითონმაც
გენია სამშობლოს სიცოცხლის,
რომ ყამი გვირობის დღისთანა
არ არის სხვა, ენით უთქმელი...
რომ ბევრი წუთები ითვალა
და არასდ ასეთი წუთები,
რომ მარად, დღე თუ ღამეა,
წამი წამს გაბზული არ იცდის,
რომ ერთი ძვირფასი წამია
სიკვდილი სამშობლო მხარისთვის.
ჩვენ განა გაქცევა გვჩვევია,
გავარდევთ, გავშლით და გავიტანთ.
კაპიტან, სამშობლო ჩვენია,
ჩვენია სიცოცხლე, კაპიტან!

ორი ყანა

იყო ორი ყანა. მათი თვავდასავალი სამწუხაროც არის და ხასიცილოც. ადრე დაობდნენ. საბრალო დედამ სიკვდილის წინ ვერაფერი დარიგება ვერ მისცა უმწეო შვილებს, რომელთაც ცხოვრებისა არა გაეგებოდათ-რა. თევზებზე ნადირობის ხერხი არ იცოდნენ და ღონე ხომ სრულებით არა ჰქონდათ.

უფროსმა ბარტყმა თქვა: მეტად უსუსური არსება ვარ, თვალებს დავუშუვ და მოვკვდივით. მართლაც დაწვა და ხიკვდილს დაუწყო ლოდინი.

უმცროსმა კი ვაიფიქრა, სიკვდილი ხომ ისედაც არ ამცდებია, მოდი, ბედს ვცდით და სანადიროდ წავიდა.

თევზებმა პატარა, გამხდარი ყანის ბარტყი რომ დაინახეს, ხიცილი ახტნენ: ეს ვინ მოსულა, სული რომ შეუბერო წაიქცევა და ჩვენს დაჭერას კი ფიქრობსო. ძალიან გათამაზდნენ, მივარდნენ ფეხებში და წიწკნა დაუწყეს.

გამოუცდელი მონადირე პირველად დაიბნა. უმწეოდ იგრძნო თავი. უკან დაბრუნება მოინდომა, მაგრამ უცხად

გადიფერა. ხერხი სჯობია ღონესაო,—დედობან ჰქონდა გავონილი.

თქვენ ჩემი არ გემინათ, მით უფეთესი ჩემთვისაო,—ჩაილაპარაკა თავისთვის ბარტყმა. ნისკარტი მოიპარჯა, თვალები მაგრა დაუჭიტა და ყველაზე მსუქან ღორჯოს ლაყურებში წვიდა.

პირველმა გამარჯვებამ ძალზე გაახარა მონადირე, ძალა და გამბედაობა გაუორკევდა. რომელსაც კი დაუმინებდა ნისკარტს, უსათუოდ დაიჭერდა. ბევრ მეტჩიარა თევზს მოსუბო სიცოცხლედ. კარგად რომ დანაურდა, შინიკენ გასწია, თან ერთი კარჩხანა ძმისთვის წაიღო.

უფროს ძმას, სულელს, ეგონა, თვალებს თუ დახუჭავდა მაშინვე მოკვდებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გაუპართლდა: არც მოკვდა, თან კი შიმშილისაგან კუთი ეწოლა და ნისკარტს სამოწყალოდ იწვედა წინ. ძმის საჩუქარმა სული ჩაუდგა.

მეორე დღეს ორივენი ერთად წავიდნენ თევზებზე სანადიროდ. უფროსი ყანჩა ჯერ კიდევ სუსტად გრანობდა თავს. წყალში რომ ჩავიდნენ, თვალები დაუბნელდა და ფეხები აუტანკალდა. უმცროსმა გემრიელად თევზი მიაწოდა და მოახუთიერა. შემდეგ კიდევ ჩაუგდო სხვა თევზი. აბა რა ექნა, ეცოდებოდა უზადრუკი ძმა.

მუქთასორა ყანჩა ძალზე გაიწაფა თევზის გამორთმევაში და მალე ჩეუღლებად გადაქცა: როგორც კი უმცროსი ძმა წყალში ჩაჰყოფდა თავს, უფროსის თვალები, ნისკარტი და მთელი არსება მისკენ იყო მიმართული. თავს ამოჰყოფდა თუ არა, რაღაც არაბეუღლებრივი სისწრაფით, თვალის დახამხამებაც კი არ იყო საჭირო, თევზი უფროსი ყანჩის ნისკარტში გადადიოდა.

გავიდა ხანი. გასუქდა და გაიპარდა უფროსი ყანჩა. უმცროსი კი თანდათან დასუსტდა, ვერ ექნა, ვერ მოიშორა მუქთასორა ძმა. ერთ დღეს ასეთი ხერხი მოვიდა: ჩრდილში დაწვა და თავი მოიპყდარწა. ბევრი უტრიალა მოუტასორამ, ბევრი ჩიჩქნა ნისკარტით, მაგრამ ვერ მოაბრუნა. როცა დარწმუნდა, ნამდვილად მოკვდაო, უფროსი ყანჩა მოწყენილი გაშორდა იქაურობას. მეტი რა გზა ჰქონდა!

ბევრი იხტილაო. უცებ საიდანღაც ზღარბი გამოჩნდა, რომელსაც ეკლიანი სამოსიდან თავი გამოეყო და აქეთ-იქით თვალებს აცეცებდა. უბედურ ყანჩას ზღარბის თავი თევზი ეგონა და უცებ ჩაჰკრა ნისკარტი. ზღარბმა შიშველი თავის უკან წაღბა მოასწრო. ყანჩას კი მისმა ეკლიანმა ტანსაცემელმა ცალი თვალი სულ დაუბრმავა.


უფრო გულგატეხილი და სევდიანი გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა, გზაზე ერთი მელნა შემოეყარა.

— საით ყოფილხარ, ჩემო საყვარელო ნათესავო?—მიუაღერსა მელიამ.

— როგორ, თქვენი განა ჩემი ნათესავი ხართ?—გაიკვირვა სულელმა ყანჩამ.

— ჰაი, ჰაი, რომ ნათესავი ვარ მოგიკვდეს შენი ვალია, რომ თავი დაგავიწყე, ნუთუ არ გახსოვს: ყველაფერი შენთვის მინდოდა და სულ ნანახ გიმღეროდ, როცა პატარა იყავი?—დაიწყო მელიამ.

ყანჩას რასაკვირველია, არაფერი არ ახსოვდა, მაგრამ მაინც დაუჯერა და თავისი თვავადსავალი უამბო. მელიამ ბევრი ცრემლი დვარა, თან ანუგეშა და დედის მავიფრება



აღუტყვა, გულში კი სულ სხვა განზრახვა ჰქონდა გაიძვრა მელიას.


იარეს, იარეს, ბევრი გზა გაიარეს, მელიას დასცხა და ენა გაღმოაგდო. ყანჩას თევზი ეგონა და ზედ ენის წვერზე დაჰკრა ნისკარტი. მელიასაც ეს უნდოდა. სტაცა კბილები და გემრიელად შეახამუნა. საუზმე რომ მოირჩა „გულკეთილია“ მელიამ ცრემლი გაღმოაგდო და თქვა:

— ამ საბრალო ფრინველმა მართალია შეურაცხყო ჩემი უტბები ენა, მაგრამ უნდა გამოიტყუდ, ჩემო ძვირფასო კუქო, რომ ამისთანა გულკეთილი მეგობარი შენ არასოდეს არ გყოლია. როცა შენი სიცარიელის ამბავი გაიგო, ვეღარ მოითმინა და დაუკითხავად მოისურვა შიგ შემოსვლა.

სე სასაცილოდ დაიღუპა ის მუქთასორა ყანჩა, რომელსაც გარჯა არ უყვარდა და სულ სხვის ნაშრომზე ეტყობოდა.

ამაზემ ზღაპარი ტყუილიაო. აბა, მართალი ზღაპარი ვის გაუგონია? მე არასოდეს არ მინახავს ის უზნეო ყანჩა, რომლის ამბავიც ზემოთ მოვახსენეთ, მაგრამ ერთი მოსწავდე ზიბი მეგულეო, რომელი სულ სხვისი კარნახის იმედით დიდს სკოლაში და გაკვეთილებს არ ამზადებს. ვაი თუ ერთხელ მასაც გაუპირდეს!

ნახ. გ. ფოცნიშვილისა



მოგზაურობა მოძვე რუსუბლიკაში

გ ა მ გ ზ ა შ რ მ ბ ა

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წრეებში გაერთიანებული მოსწავლეები დიდი სიყვარულით სწავლობენ მშობლიურ მხარეს. სწორად შეიძლება დანახათ სასახლიდან გამოსული, ზურგჩანთააკიდებული ბავშვები, რომლებიც დაეშურებოდნენ, მოგზაურობებსა და ექსკურსიებზე მიემართებოდნენ.

მათ ხელმძღვანელობენ სასახლის გამოცდილი პედაგოგები: ყველასათვის ცნობილი, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრა ჯავახიძე, მწვერვალ უშბის დამპყრობი მარია უთმელიძე, ბიოლოგიის კაბინეტის გამგე თამარ ჯიქიძე და სხვები. წელიწადში ერთხელ პიონერთა სასახლე ატარებს ერთ შორეულ ექსკურსიას ჩვენი რესპუბლიკის გარეთ. ბავშვებს ახლაც ასოვთ მოგზაურობანი მოსკოვში, ლენინგრადში, ვოლგა-დონზე და ვოლგისპირა ქალაქებში.

წელსაც პიონერთა სასახლეში დიდხანს ემზადებოდნენ ტრადიციული შორეული მოგზაურობისათვის მარშრუტით: თბილისი — ბათუმი — ოფსა — კიშინიოვი — თბილისი.

დავბა სანატორიო დღეც თბილისის სადგურზე თავი მოიყარეს ექსკურსიის მონაწილეებმა. გაისმა გამგზავრების ნიშანიც. უკან დარჩა მშობლიური თბილისი... ხუთ რაღაც ათიოდე საათში მატარებელმა აჭარის სანაპიროებს ჩაუქროლა. ნორჩმა მოგზაურებმა მოიტკვეს ქობულეთის, ჩაქვის, მწვანე კონცხის მშვენიერი პეიზაჟები და ბათუმიც გამოიჩინა. ღამე აღიომნა შეცვალა და ბათუმის ნავსადგურიდან გემ „გრუზიათი“ ნორჩმა მოგზაურებმა გეზი ოფსისაკენ აიღეს.

პირველი დღეები ზღვაზე

„გრუზია“ ერთ-ერთი შესანიშნავი და კეთილმოწყობილი სამგზავრო გემია. როგორც კი ბავშვებმა გაიგეს, რომ მისი კაპიტანი ცნობილი მეზღვაური ელიზბარ გოგიტიძეა, მასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს. ამის შესახებ მოახსენეს კაპიტანს. ბავშვებმა დამამკაყოფლებელი პასუხი მიიღეს და მამინვე ფიცილებილით მოედგნენ გემბანს.

უკან დარჩა, ფოთი, სოსუმი... და აი, „გრუზიამ“ გეზი სოქისაკენ აიღო.



ქ. კიშინიოვის პიონერთა სახლი.

გემზე ორი კარგა მოზრდილი საბანაო აუზია. შეხვედრის შემდეგ პატარებმა აუზში ამოხვეეს თავი, სადილისა და მცირერიცული ძილის შემდეგ კი გემბანზე გამოვიდნენ. ერთი მღეროდნენ, მეორენი უბის წოვაკებში ინიშნავდნენ ნახულისა და განცილების შესახებ.

...უცებად გემბანზე პოლონელ და ჩინ სტუდენტებთან ხელისებნიკადიებული ნორჩი მოგზაურები გამოჩნდნენ. სულ რაღაც ათიოდე დღის წინათ ისინი პიონერთა სასახლეს ეწვივნენ. პატარებში ამ შემთხვევითმა შეხვედრამ უჩვეულო სიხარული გამოიწვია. პოლონელები და ჩინები თბილისიდან ბათუმს ტურმერბოდნენ, ხოლო იქიდან ახლა სოჭას მიემგზავრებოდნენ.

ჩინი სტუდენტი — მირეკი ბავშვებში ჩამდგარიყო და ექსკურსანტებს მიმართავდა: — თქვენ მართლაც საინტერესო მუშაობას ატარებთ; მაგონდება თქვენის საუბარი თბილისში იმის შესახებ, თუ როგორ იმეზღაურეთ შარშან ვოლგა-დონზე, ცხატომ წლევადელი მოგზაურობაც საინტერესო გექნებათ.

ბავშვებმა დიდხანს ისაუბრეს პოლონელ და ჩინ მეგობრებთან და სოჭის ნავსადგურში, გამომშვიდობებისას, მათ ბედნიერი დასვენება უსურვეს...

სოჭი... ნოვოროსისკი

ნორჩი მოგზაურები სოჭაში გვიან საღამოს ჩავიდნენ. ორ საათში უნდა დაეთვალიერებინათ შავი ზღვის სანაპიროს ეს ერთ-ერთი შესანიშნავი საკურორტო ქალაქი, კარგა ხანი დაჰყვეს მოავარ ქუჩაზე, დაათვალიერეს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების შესანიშნავი შენობები, ნახეს ახალი კინო-თეატრი, „სოჭი“ და წარუშლელი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ გემზე.

15 ივლისის დილა ნორჩი მოგზაურებს ნოვოროსისკის ნავსადგურში გაუთუხდათ. პატარებს სანაპიროდან კარგა დიდი მანძილის გავლა მოუხდათ, რომ ქალაქის ცენტრში მოხვედრილიყვნენ. ნოვოროსისკი დიდი საპორტო და სამრეწველო ქალაქია. ქალაქში ისე დიდი მშენებლობაა განაღებულ, რომ უახლოეს ხანში ომის კვალიც აღარ დარჩება. აქ სამუდამოდ იქნება მეორიალური დავა ქალაქის გმირი დამცველების შესახებ, რომელმაც გამოკეთილია სიტყვები: „აქ 1943 წლის 12 სექტემბრის ღამეს გადმოსხდა დესანტი პოლოლოკინცი პანკრევის მეთაურობით“. მამინ აქ გერმანელი ფაშისტები ბოგინობდნენ, დესანტის მონაწილეები კი მშობლიური ქალაქის განთავისუფლებას ამზადებდნენ, კრებდნენ ცნობებს მტრის გარნიზონის შესახებ.

ნორჩი გეგორაფის თამარ ჯავახიშვილის უბის წინაქაშო ვითხოვლობთ: „დიდხანს ვიდექი მემორიალურ დავასთან, დავის ქვეშ ნახლ ირხევიან ყვეაილები. ამ ქუჩაზე მხოლოდ აქ ირხევიან ისინი, გმირთა საპატივცემლოდ. არასოდეს არავინ მოწყვეტს მათ...“

ნოვოროსისკმა გმირულად გადაიტანა ომის ქარტეხილი და ახლა მის ქუჩებში მშვიდობიანი შრომა სუფევს, აქ ყველგან მშვიდობისა და შრომის სიმღერა ისმის.

ნორჩი მოგზაურები კვლავ გემზე არიან. ზღვა იქაირება, ახმაურებულად ტალღები ერთმანეთს ენარცხებიან, შემდებ იმხებვიან და სახლაც უკვარლად ქრებიან.

შენხედრე კაპიტან გოგბითქმსტან

ნორჩ მოგზაურთა შორის პიონერთა სასახლის მხატვრული თვითმოქმედი პიონერული ანსამბლის წევრებიც არიან. დღეს ნორჩ მოგზაურებს ახალი სინარული ეწვიათ, ისინი კაპიტან გოგბითქმსტანს შეხვდებიან და თავის ხელოვნებასაც უჩვენებენ. ბავშვები მოუთმენლობით ელოდნენ დანიშნულ საათს. ხუმრობა ხომ არ იყო, — მათ დღეს პირველი გამოსვლა ექნებოდათ გეშუე. დადგა სანატრიელი წუთიც და პიონერების გამოსვლაც დაიწყო. თბილისელი პიონერები კაპიტან გოგბითქმსტანს შემოუსხდნენ. დანარჩენებმა კონცერტი დაიწყეს. მხატვრული კითხვა ფანდურის ვედრამ და ცილა კილაბერიას სიმღერამ შეცვალა. მას აკრომატული ვარჯიში მოჰყვა, შემდეგ — ქართული ხალხური ცეკვები, და ნორჩებმა მათურების მოწონება და ტაში დაიმსახურეს.

პიონერების გამოსვლა დამთავრდა თუ არა, კაპიტანმა ნორჩ მოგზაურები თავისთან მიიწვია. გოგბითქმის შესახებ ბავშვებს ბევრი საინტერესო რამ ჰქონდათ გაგებულთ. პატარა შოთა გიგაურს კაპიტანი გოგბითქმის წარმოედგინა. ნამდვილად კი იგი საშუალო ტანის კაცი იყო. ელიზბარ გვირგვინ-ძე სიტყვაძუნწი აღმოჩნდა. მას ძალზე უპნელდებოდა თავის თავზე ლაპარაკი და პატარების მიერ დასმულ კითხვებსაც მოკლედ პასუხობდა. მის კოლოში ნათლად ჩანდა უზარალოება და სისადავე საბჭოთა მეზღვაურისა. ნორჩმა მოგზაურებმა დაათვალიერეს გემის სამაგნიუმი ნაწელი და სხვადასხვა სათავსოები, შემდეგ კაპიტანთან ერთად სურათიც გადაიღეს, მაგრამ კაპიტანს ისე შემოხვეოდნენ ირგვლივ, რომ პატარებს სურათზე მისი პოვნაც კი გაუძნელდათ. ბავშვები მოზღვავებული სიხარულისა და მადლობის გრძნობით გამოეხიზნენ კაპიტანს.



ნორჩი მოგზაურის რეკლამლეგია უშვებს საველე გაზეთის ახალ ნომერს.

გ მ ი რ ი ქ ა ლ ა ქ მ ე ბ ი

გამოჩნდა გმირი ქალაქი — ოდესსა, ნორჩ მოგზაურებს ნავსადგურში გადასვლისთანავე ოდესელი პიონერები შემოხვდნენ. მასწავლებლები ოდესის პიონერთა სასახლის აქტივისტები იყვნენ. მათ უკვე მოემზადებინათ ნათელი ოთახები, სადაც პატარებს 5 დღე უნდა გაეტარებინათ.

თბილისელმა პიონერებმა ოდესის გაცნობა პიონერთა სასახლის შესწავლით დაიწყეს.

ეს შენობა 1826 — 27 წლებში აუგიათ არქიტექტორ ბოფოს ხელმძღვანელობით. თავდაპირველად ეს სასახლე ეკუთვნოდა ნოვოროსის გენერალ-ლეიტენანტორ ვორონცოვს.

ამის შესახებ ექსკურსანტები ხუმრობდნენ: ვორონცოვები სასახლეებს ჩვენთვის აშენებდნენო, ალბათ. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ვორონცოვები და მისთანები არასოდეს ფიქრობდნენ ხალხზე, ბავშვებზე — მაგრამ სასახლეების მშენებელი ჩავსურთო ხალხი ნამდვილად ფიქრობდა იმას, რომ დაღებოდა დრო როდესაც ამ შესანიშნავ სასახლეებს დაეპატარებოდა ნამდვილი მესპატარონე — შობამედი ხალხი.

ოდესის პიონერთა სახლი განთქმულია იმითაც, რომ აქ ოქტომბრის დღეებში განლაგებული იყო ოდესის წითელი გვარდის შტაბი, ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების პირველი საბჭო. საბჭოთა ხელოსუფლებამ 1936 წელს ეს შესანიშნავი სასახლე ოდესის პიონერებსა და მოსწავლეებს გადასცა. ოდესის დროებითი ოკუპაციის დროს კი სასახლე ფაშისტი ჯალათის ოლქისაწინააღმდეგ გასართობ ადგილად იქცა. ოლქისაწინააღმდეგ იღვწას არ დასცალდა საბჭოთა მიწაწვალზე ბოგინი და პიონერებმა კვლავ მიიღეს თავისი საყვარელი შენობა. ამჟამად პიონერთა სასახლეში მუშაობს 90 სხვადასხვა წრე, რომელთა შორის დიდ ყურადღებას იმყრობს ავისამოდელო, ელექტროტექნიკური, ნატურალისტთა, ჰაერაკისა და სხვა წრეები. სასახლეს აქვს თავისი პატარა პარკი და ლამაზი ტელეფონი — კოლონადებით, რომელიც ზღვის სანაპიროდანაც მიიწის.

ქ ი რ ი მ ი ს მ უ ზ ვ ე ნ ე ბ ა

ქპარა იალტაც გამოჩნდა. იალტა მზიური ყირიმის შესანიშნავი საკურორტო ქალაქია. პატარები იალტაში 15 ივლისს ჩავიდნენ. ამ დღეს მთელი საბჭოთა ხალხი დიდი რუსი მწერლის ა. პ. ჩხოვიის გარდაცვალებიდან 50 წლისთავს აღნიშნავდა. ჩხოვიი ხომ იალტაში მრავალ წელს მუშავებდა. მამულ პატარები ჩხოვიის სასულეუფებში იყვნენ, მერე იალტის ზღაპრული სანაპირო დაათვალიერეს და შობამედლებით აღსივლილმა გემს მიაშურეს.

ადრე დღითი გემმა სვეცსტაბოლი შეუქმნევალა დასტოვა და გეზი ოდესსაკენ აიღო... იმ საღამოს ექსკურსიის ყველაზე პატარა მონაწილე შოთა გიგაური მაგიდას მისვლილია და დედას წეროლსა სწერდა. პატარა შოთას წერილი რეკლამეგამ გაზეთში მოათავსა, ალბათ, იმიტომ, რომ ზოგიერთ ზარმასაც მოფიქრებოდა სახლში წერილის გავზავნა. აი, რას წერდა: „უკვე მესამე დღეა ზღვაზე ვარ. დედა, როგორც შენ დამარბივ, ისე ვიქცევი. როცა ქალაქების დასთვალთერებოდა მედივარით, არ ვიგვიანებ, რასაც მავალბენ ვახრულებ. ვიცი, გაგებარდება, დედიო, სახლდ სხვაგან უშეროდა ძალიან გამბიქრებოდა, მაგრამ აქ ყველანი ისეთი კარგები არიან, რომ უშენობას თოქმის არა ვგრძობ. მომიკითხე მამა, ნუგზარი და ლანა. გყოცნი მრავალჯერ.“

შენი შოთა“

პიონერთა სასახლის გაცნობის შემდეგ ექსკურსანტები გულდასმით ათვალიერებდნენ ოდესის ქუჩებსა და შესანიშნავ შენობებს. როგორც კი შეუდგნენ პოტომკინის ისტორიული კიბეების საფეხურებს, ბავშვებს უამბეს, თუ როგორ იცავდნენ ოდესის მშრომლები საყოთარი მკერდით მშობლიურ ქალაქს, რომელიც დაარსებულ იქნა დიდი რუსი მხედართმთავრის სუფოროვის მიერ. მას შემდეგ 160 წელი გავიდა; მრავალი გრიგალიმ გადაიარა ოდესის თავზე. გერმანელი ფაშისტების მხეცარი მოქმედების შედეგად განადგურებულ იქნა ქალაქის უდიდესი ნაწილი. უცხოელი კორესპონდენტები ვარაუდობდნენ რომ ოდესის ნავსადგურის აღსადგენად საჭირო იქნებოდა არანაკლებ 20 წლისა, მაგრამ ნავსადგური სულ მოკლე ხანში იქნა აღდგენილი და ახლა იგი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ყველაზე კეთილმოწყობილ ნავსადგურად ითვლება.

მოგზაურებმა დააოვალიერეს ბუშკინისეული ადგილები. ოდესის პარტიის საოქმო კომიტეტის საუცხოო შენობის წინ აღმართულია ძეგლი, რომელიც მაღლივმა ოდესელმა მოქალაქეებმა აღადგეს დიდ რუს პოეტს. ძეგლთან კვლავ დგას ჩინარი, რომლის ქვეშ ხშირად ისვენებდა ბუშკინი.

მეორე დღეს პატარებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ოდესის სამხატვრო გალერეა, ისტორიული და ოდესის დაცვის შესანიშნავი მუზეუმები. საღამოს მიმატებულ იქნენ მეზღავართა სასახლეში ფიზკულტურელების საკავშირო დღის აღსანიშნავად მოწყობილ საღამოზე. საღამოს ხელმძღვანელების თხოვნით, თბილისელმა პიონერებმა შონაწილეობა მიიღეს საკონცერტო ნაწილში. განსაკუთრებული მოწონება დამსახურეს ნორჩმა მოცეკვავეებმა, რომელთაც მრავალი ქართული ცეკვა შეასრულეს. პატარებს რამდენჯერმე გაამეორებინეს ქართული სალხური სიმღერები სტალინზე, სამშობლოზე, გარსზე.

ოდესაში ყოფნის მესამე დღე კიდევ უფრო საინტერესო და ახალი სიხარულის მომტანი იყო. დილით ბავშვები შეხვდნენ უკრაინის „არტიკის“ პიონერებს ლუზანოვკაში. ლუზანოვკა ოდესის ახლოს მდებარეობს, აქ მზარდი თაობის დასვენებისათვის ყოველგვარი პირობაა შექმნილი. პატარები მალე დამეგობრდნენ და სიხარულით იწერდნენ ერთმანეთის მისამართებს.

ადრეცების შემახილები გამოიწვია ოდესის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობამ. შენობის შიდა ნაწილმა რაღაც არაჩვეულებრივი და ზღაპრული შობაჩიღილება დატოვა.

დადგა ოდესაში ყოფნის უკანასკნელი დღე — 20 ელსი. ოდესელ პიონერებთან გამოთხოვების დღეს შევიწყოს საბელობის ოდესის კულტურისა და დახვეწების ცენტრალურ პარკში მოეწყო ოდესელ და თბილისელ პიონერთა მეგობრობის შეხვედრა. ქართველმა პიონერებმა ოდესელ პიონერებს საჩუქრად ღვთისა უკრაინეკას სურამის სახლ-მუზეუმის ფაქიზად ნაყებები მაკეტი მიართვეს. ოდესელებმა თავის მხრივ თბილისელები მრავალრიცხოვანი ლიტერატურით და საჩუქრებს. შეხვედრა, რომელიც უკრაინელ და ქართველ მოწვეულთა მხატვრული კოლექტივების გამოსვლით დამთავრდა რამდენიმე საათს გაგრძელდა. მეორე დღეს ამ შეხვედრას მოხრდილი წერილი დაუთმო ოდესის საოქმო გაზეთმა, სადაც ნათქვამი იყო: „ქართველ და ოდესელ მოწვეულთა შეხვედრა მეგობრობის ნამდვილ ზეიმად გადაიქცა“.


გვიან საღამოს ნორჩი მოგზაურები მოლდავეთის რესპუბლიკის დედაქალაქ კიშინიოვისაკენ გასულ მატარებელში ისხდნენ.


მოლდავეთის დედაქალაქში

დილით ფანჯრიდან გამოჩნდა მოლდავეთის მშენიერი ბუნება. სოფლები ერთმანეთს სვლიდნენ. პატარებს აქ არ ხვდებოდათ მაღალი, თვალუწყველი ქედები, მაგრამ მაინც რაღაც მსგავსებას პოულობდნენ მოლდავეთ და ქართულ სოფელს შორის, რაც კიდევ უფრო ახალისებდათ მათ.

ჩქარა კიშინიოვიც გამოჩნდა. კიშინიოვი — მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქია. მოლდაველ პიონერებთან შეხვედრა ძალზე გულთბილი იყო. ქალაქში გასვლისთანავე ბავშვების წინაშე გადაიშალა შესანიშნავი სანახაობა. მიედნის შუაგულში აღმართულიყო ახლახან საზეიმო ვითარებაში გახსნილი სამოქალაქი ომის გმირის კოტოვსკის ძეგლი. ნორჩი მოგზაურები დადიოდნენ კიშინიოვის ნათელ, სუფთა ქუჩებში და ყოველი ახალი სანახაობა სიხარულს გვრიდა მათ. კიშინიოვში მოგზაურები სამ დღეს დარჩნენ და ამ მოკლე დროში მრავალი საინტერესო რამ ნახეს.

ძალზე დაინტერესა ბავშვები მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ყველაზე დიდი ინტერესი იმ დარბაზში გამოიწვია, სადაც ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებია გამოფენილი. ბავშვებმა დაათვალიერეს ცხოველთა თითქმის ყველა კლასის





წარმოადგენელი სულ პატარა ჩიტუნებიდან დაწყებული ვეებერთელა მამონტის ჩონჩხამდე.

წარუშლილი შთაბეჭდილება დატოვა კომკავშირის სახელობის ხელოვნურმა ტამამ, რომელიც მოლდავეთის დედაქალაქის კომკავშირული ორგანიზაციის თაოსნობითა და უშუალო მინაწილებითა დაუფუძვებიათ.

ისევე, როგორც ოდესაჲ, კიშინიოვი განთქმულია თავისი პუშკინისეული ადგილებით. ბავშვებმა ნახეს სახლი, სადაც 1820 წელს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი პოეტი. აქ ამ სახლში, ა. ს. პუშკინმა დაწერა თავისი უკვდავი პოემის „ივეგენი ონგენის“ პირველი თავები, პოემა „ბოშები“ და მრავალი სხვა.

სამამულო ომის პერიოდში კიშინიოვი ოკუპირებული იყო. განთავისუფლების შემდეგ ქალაქი თითქმის მთლიანად დანგრეული აღმოჩნდა. აქ ახლა შენდება ახალი, მრავალსართულიანი შენობები, რომლებიც დღითიდღე უფრო მეტად ამშვენებენ მწვანეში ჩახშულ ქალაქს. დედაქალაქის გმირი გამათავისუფლებლებისათვის, რომლებიც კიშინიოვისათვის ბრძოლაში დევნიენ, მაღლიერ სახლს ქალაქის დიდ ბაქტში ძეგლი დაუდგანს.

ქართველმა პიონერებმა წმიდა ვალი პიონერული საღუბტით მოახადეს და დუმილით დასტოვეს საფლავი... შორიდანაც მოჩანდა გვირგვინზე მოვლებული წითელი არშია წარწერით: „კიშინიოვის გმირ გამათავისუფლებლებს თბილისის პიონერთა სასახლის პიონერებისაგან“.

კიშინიოვლმა პიონერებმა წელს ძვირფასი საჩუქარი — პიონერთა სასახლე მიიღეს. იგი 25 ოთახისაგან შედგება. სასახლეში დიდიდან იკრიბებიან ნორჩები და სხვადასხვა სახის წრეებში საინტერესო მუშაობას აწარმოებენ. თბილისელი პიონერები სასახლეში მეგობრულ შეხვედრაზე მიიპატიჟეს.კიშინიოველ პიონერებთან მალე დავემოკრდით,—წერდნენ შემდეგ საველი გაზეთი „ნორჩ მოგზაურში“—ყველაზე სამახსოვრო იყო შეხვედრა კიშინიოვის პიონერთა სასახლეში, სადაც პიონერებმა ერთმანეთს ვუჩვენეთ ჩვენი შემოქმედება. მათ გავაცენს პიონერთა სასახლე. ყველა ჩვენგანს მოეწონა მისი მყუდრო და კობტად მოწყობილი კაბინეტები. ჩვენი ახალი მეგობრები აღტაცებით გვიამბოდნენ თავიანთი მუშაობის შესახებ.

არასოდეს დაგვაიწყდება გამოამშვიდობებელი საღამო. თბილისელმა პიონერებმა კიშინიოველებს სამახსოვრო დავუტოვეთ ჩვენი ნაციონალური საკრავი ფანდური, მათ კი წიგნებით დაგვასაჩუქრეს. გამოამშვიდობებისას დავპირდით ერთმანეთს, რომ სექტემბრიდანვე გავაჩაღებთ მეგობრულ მიწერ-მოწერას.“

საქართველოში დაბრუნების დროც მოვიდა. 23 ევლისს საღამოს პატარებს მატარებელი ოდესისკენ მოაქროლებდა. თბილისელ მოგზაურებს ოდესაში პირმცინარე დილა დახვდათ. მთელ დღეს ათვალიერებდნენ ნორჩები უკვე ნაცნობ ქალაქს, საღამოთი კი გემ „უკრაინით“ მაღლიანი უკრაინის მიწა დასტოვეს.

სევასტოპოლის ნავსადგურთან გემი „უკრაინა“ რეიდზე დადგა. საღამოვდებოდა. ბუღალ საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის დღე იყო და ნორჩ მოგზაურებს წილად ხვდათ ბუღალნიერება ენახათ სევასტოპოლის საღუბტი. ღამეში შესანიშნავად ჩანდა საზეიმოდ მორთული და ელნათურებით გაჩაღებული სამხედრო გემების არმადა. ამ მშვენიერბას ავჯირობებოდა გმირი ქალაქის მხურვალე საღუბტი და მზიარული ფერების ფეიერვერტი.



ორიოდე დღეც და ნორჩი მოგზაურები ათასობით კილომეტრის გავლის შემდეგ პათუშში იყვნენ. აქაც მიაკითხეს პიონერთა სახლს, აქაც გაიჩინეს ახალი მეგობრები, ესტუმრნენ საბავშვო გემ „პიონისს“, სადაც კარგა ხანს უწიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს პატარა გემის შემადგენლობას. საღამოს კი მატარებელმა თბილისელი პიონერები დედაქალაქისაკენ გამოაქროლა. ყველას სახლისაკენ მიეჩქარებოდა, ყველა შთაბეჭდილებებით იყო დატვირთული და მოუთმენლად ელოდა მშობლებთან, ტოლებთან შეხვედრას, რათა მათთვისაც გაეზიარებინა მოზღვავებული სისარული.

ასე დაშთავრა თბილისელი პიონერების მოგზაურობა რუსეთის, უკრაინისა და მოლდავეთის რესპუბლიკების დიდ ქალაქებში.

ჯიშუპი მუქიძე



სურათებზე—მარცხნიდან მარჯვნივ: ოდესის ოპერისა და ბალეტის თეატრი; ა. პ. ჩეხოვის სახლმუზეუმში იალტაში; კოლენა და პიონერთა მოედანზე ოდესაში; გემი „უკრაინა“.



სკორტუდი ცნობები

საბჭოთა კავშირში 5500 სპორტსმენზე მეტსა აქვს სპორტის ოსტატის წოდება.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საბჭოთა სპორტსმენებმა 2200-ზე მეტჯერ გააუმჯობესეს საბჭოთა რეკორდები, ხოლო 209-ჯერ შეიტანეს შესწორება მსოფლიო მიღწევების ცხრილში. მარტო მსუბუქმა ტანშვილებმა 550 საკავშირო და 50 მსოფლიო რეკორდი დამყარეს.

მარტო პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებებს აქვთ 1200 სტადიონი, 55 ათასი სპორტული დარბაზი, საცურაო სათხილამურო სადგური, ტურისტული ბაზა და ალპური ბანაკი. თითქმის ყოველ ქალაქშია კეთილმოწყობილი სტადიონები.

13 ინსტიტუტსა და 37 ტექნიკუმში ამზადებენ ფიზკულტურულ მასწავლებლებსა და მწვრთნელებს სპორტის სხვადასხვა დარგში. 40 ათასი სტუდენტი სწავლობს პედაგოგიურ ინსტიტუტებში ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტებზე.

ჩვენს ქვეყანაში 600-ზე მეტი სამკურნალო-ფიზკულტურული დისპანსერი და კაბინეტია მოწყობილი.

შექმნილია 800 საბავშვო სპორტული სკოლა, რომლებშიც 120-ზე მეტი ნორჩი სპორტსმენი სწავლობს.


უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ორჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა სპორტსაზოგადოებებში გაერთიანებულ ფიზკულტურულთა რიცხვი. მარტო ბელორუსიაში 12 ათასამდე კოლექტივია.

სასოფლო-ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვი 1948 წელთან შედარებით 37 ათასიდან 62 ათასამდე გაიზარდა. უკრაინის სპორტსაზოგადოება „კოლოსონიში“ 900 ათასამდე ფიზკულტურელია.



შინაარსი

დიდი ჩინეთის ბენდირი ბეწვები (ფოტო ნარკვევი)	მე-2
ალექსანდრე ჭუთათილი—დილა (ლექსი)	5
ჯანსუღ ჩარკვიანი—კომკავშირელები (ლექსი)	5
ზოია რუხაძე—დედას (ლექსი)	6
გიორგი პაპიაშვილი—ზოიას დედასთან (ნარკვევი)	6
გეორგი ემანი—შაქე (პოემა) თარგმნა რ. მარგალიანი	8
რევაზ ჯაფარიძე—გრძელი გზა (მოთხრობა)	12
გივი ძნელაძე—რა კარგია შემოდგომა (ლექსი)	18
იური სოფიანი—მწვრთნელები (მოთხრობა) თარგმნა კ. რუსთაველი	19
იან დრდა—ფუსტკ-ვაზნა (მოთხრობა) თარგმნა შ. გვინჩიძემ	23
ალექსანდრე საჯავა—სამშობლო ჩვენია (ლექსი); ორი ყანა (ზღაპარი)	25
ჯომშერ ენუქიძე—მოგზაურობა მოძვე რესპუბლიკებში (ნარკვევი)	28
სპორტული ცნობები	32
ქადრაკი	გარეკანის მე-3 გვ.
გარეკანის პირველ გვერდზე: „საინტერესო წიგნი“—ნაზ. გ. თოთბაძისა; გარეკანის მეორე გვერდზე: „სვალ დღე-სასწაული“ სურათი—მ. მემკარიაშვილისა; გარეკანის მე-4 გვერდზე: „პირველი დღე სკოლაში“—ფოტო ეტიუდი ავტ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.	
უფრო დიდი დასურათებელია მხატვრების: გ. თოთბაძის, ზ. ლეჟავას, კ. მახარაძის, შ. მემკარიაშვილის, გ. ფაცხვიანისა და შ. ცხადაძის მიერ.	



ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა : რ. ელანიძე, გ. ვარლამიძე, რ. თაბუაშვილი, რედაქტორი რევაზ მარგალიანი მ. ლეზანიძე (პ.მ.გ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფაცხვიანი (სამხატვრო რედაქტორი) ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, ვ. ცეცილიძე.

რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე გ ი ა ა გ ჯ ო რ გ ე ს ო მ უ მ ნ რ ე გ ო მ ა .

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. октябрь, № 10, 1954. Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85.

უ ე 1461 ტირაჟი 15.000 გამომც. შუგვ. № 379 სტამბის შუგვ. № 1238. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.

პირველი ჩემპიონი



სურათზე — (მარჯვნიდან): მ. ტოგოზიძე, მისი დედა ლ. გელოვანი და მ. სტატნიკოვა არჩეულ პირველობაზე გათამაშებულ პარტიას.

ადგილს იღებს. კიდევ ერთი წელი — და ნიჭიერი გოგონა თბილისის ჩემპიონი და მეორე თანრიგისაა. ჯაღრაკში თვალსაჩინო წარმატებებთან ერთად დაუღალავი მუშაობით, მანანა წარჩინებულად აშთავრებს მუსიკალურ სასწავლებელს, ხოლო სკოლაში მეთერთმეტე კლასში გადადის. ახლა ფინალში გასვლით მანანას შეუქმნა საუკეთესო საშუალება ესახელებინა პიონერთა სასახლე, თავისი სკოლა და რესპუბლიკა.

...მე-10 ტურში მანანას, რომელიც დაუმარცხებლად ლიდერობდა პირველობას, აუცილებლად უნდა მიეგო, რადგან მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა მას მოღალაქეთის ჩემპიონი ნატალია კოლტიკა.

იგი შეხვდა რუსეთის ფედერაციის ჩემპიონს ანტონოვს. მას ვისაც გამარჯვება სწუვთა აუცილებლად შემტევი სტილით უნდა იოპამაშოს — ეს წესი იცოდა მანანამ. ამის შესახებ მისთვის არაერთხელ უთქვამს ვახტანგ ქარსელაძეს. მანანა, რომელიც პოტრეხით თამაშობდა პარტია დიწყო 1. e4. ამავე ანტონოვამ უხსუსხა 1. ...c5 სიცოლიური დაცვით. თამაში ასე გაგრძელდა: 2. მ3 d3 3. d4 cd 4. მ:4 მ6 5. მ:3 ა6 6. f3 ყ6 (შავები არ თამაშობენ კარგად: უკეთესი იყო 6. ...e6 7. კ:6 კ:7. ახლა მანანა აწყობს ფიგურებს საბჭოთა თეორიტიკოს 3. რაუჭერის სქემის მიხედვით და მძლავრ იგრისს ლეზულობს). 7. კ:6 მ:6 8. ...d2 ყ7 9. 0-0 0-0-0 10. მ:6 (ამით თეთრები უშავრებენ შავებს ცენტრს. მაგრამ მანანას მიზანად აქვს შავების მკუთხის ფრთის დასუსტება. ამიტომ ეს სვლა გამართლებულია) bc.


ჯაღრაკის ისტორიაში მრავალი სახის შევირბება გამართულა, მაგრამ ის რაც მიმდინარე წლის წაუსულმა ლენინგრადის პიონერთა სასახლეში მიეწყო. პირველი იყო. ჩვენი თვალწინდელი ქვეყნის ყუველი მხრიდან დიდი ლენინის ქალაქში ჩამოვიდნენ მოკადრავ გოგონები, რომლებიც ერთმანეთს უნდა შებრძოლობდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო სახელისათვის.

პირველობაზე ორმოცზე მეტი გოგონა ჩამოვიდა, ამიტომ ჩემპიონის გამარჯვლებულად მიეწყო ჯერ ნახევარფინალდერი, ხოლო შემდეგ ფინალური შეჯიბრება.

როგორც მოსალოდნელი იყო მწვევე და დაბებული პარტია გაჩაღდა, ფინალში გასვლა ყველას ოცნებად ქონდა გადაიქცეული. საქართველოს სახელით იბრძოდნენ მანანა ტოგოზიძე, მარინე სტატნიკოვა და ელენავეტა კაემენკია.

უაიკად 4 ტური და ყველას ყურადღება მანანას ცნერგიულმა თამაშმა მიიყრო. იგი ყუველ შეხვედრას შთამავანებელი ძალით ატარებდა და იმარჯვებდა კიდევ. პირველი წარმატება მოპოვებული იქნა — მანანა ფინალში გაედა.

...ეს იყო 3 წლის წინათ, მანანა თბილისის პიონერთა სასახლის საქაღრაკო სექციოში მივიდა. თავისი დედის ლიდი გელოვანისაგან, რომელიც საქართველოს ორჯის ჩემპიონი იყო, მანანას გაგონილი ჰქონდა პიონერთა სასახლის ტრადიციებზე, სადაც აღზრდილა სახელმძიხვეკით გროსმაისტერი ტიკრან პეტროსიანი. მანანა მიიღეს წრის წევრად. გამოცდილი მწვრთნელის დახტანე ქარსელაძის თვალმა ერთბაშად შეამჩნია ახალი მოწაფის კარგი საქაღრაკო მონაცუება. ინტენსიური მეცადინეობით ვ. ქარსელაძემ მანანას შეუყვარა ქაღრაკის როული კომპინაციური თამაში. მანანაც ბევრს შენაობდა. იგი ხშირად ეთამაშებოდა ელისო კაკაბაძეს, ლიანე ხატაბურთიძეს, მარინე სტატნიკოვას, რომლებმაც შემდეგში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მანანასათვის საინტერესო იყო დედასთან თამაში. მიუხედავად იმისა, რომ იგი ხშირად მარცხდებოდა, იმდღს მაიმედ არ კარგავდა, რომ დედას დიწყოდა. გავიდა ორი წელი და მანანა სარკოვსი გამართულ საბჭოთა კავშირის გულდურ პირველობაში თავის დაფაზე პირველ



11. e5 მ6 12. კ:6 d5 13. კ:7 მ:7 14. გ4 e5 15. h4 (გადაწყვეტი იერიშის დასაწყისი) 15. h5 ე5 17. h6 მ:6 18. ე: ე:19. ე:1 ე:5 20. f4 ე:5 21. კ:3 ე:7 22. fg შვავე პოზიცია უკვე უიმეილა. ამიტომ ანტონოვამ სწლო თავი დამარცხებულა.

ამ პარტიის მოგებით მანანამ გაიჩაღდა დიდი გამარჯვება. 11 შეხვედრიდან 7 მოიგო, 4 ყამით დამათვრა, მოავრგვა 9 კულია. დაიკავა პირველი ადგილი და მოპოავა საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონის სახელი.

თიანგი გიორგაძე, სტატისტიკის კანდიდატი ქაღრაკი.

